# საარბიტრო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 13 სექტემბერი 2005 №209 (2532) ფასი 50 თეთრი


## ბრინჯაოს გუნდი თბილისში დაბრუნდა

ბრინჯაოთი დაწყებული მსოფლიოს ჩემპიონატი გუშინ ქართველმა ძიუდოისტებმა ბრინჯაოთივე დაასრულეს. პირადი პირველობის შემდეგ კაიროს ტატამზე გუნდური ჩემპიონატი გაჩაღდა. საქართველო ვიცე-ჩემპიონის სახელით წარდგა და ეს შედეგი ერთი საფეხურით გააუარესა.

შოთა ხაბარელის გუნდმა პირველ შეხვედრაში ალჟირელები დაამარცხა. მერე თავად წააგო იაპონელებთან და პირდაპირ რეპეშაჟის ფინალში გადაერთო.

მთავარ ფინალში იაპონიას სამხრეთ კორეამ სძლია. ქართველებმა კი ბრინჯაო ფრანგებს აართვეს. ნაკრები თბილისში ჩარტერული რეისით გამთენიისას დაბრუნდა.



## გოჩა ჟორჟოლიანი: ვთქვი, მაგრამ არ მითქვამს

8



## ახალი მწვრთნელი: ბათუმის ქულები ოთარ გაბელიაზეა

8

# ჩვენ და ჩემპიონები ვიწყებთ

დღეს იწყება! დღეს წინა სეზონის ბოლო თამაშის მონაწილეთათვის პირველი დღეა. „ლივერპული“, რომლის ესპანელი მწვრთნელი რაფა ბენიტესი ფოტოზე ამაყად დაყრდნობია მისგან დაპყრობილ ჩემპიონთა ლიგის სიმბოლიკას, სევილიაში „რეალ ბეტისს“ ხვდება, ხოლო „მილანმა“ ფინალის კოშმარი „სან სიროზე“ „ფენერბაჰჩეს“ უნდა შეაჩეჩოს ხელში.

კიდევ, დღეს „რეალი“ დაიწყებს. ეს ის ცხრათასიანი გუნდია, რომელიც „ლივერპულ“ — „მილანის“ გაბრწყინებამ, ცოტა არ იყოს, გადაგვავიწყა და ვაითუ ამაოდ. დღესვე იწყებს „ჩელსი“, რომელსაც ძალიან ბევრი ფული აქვს და ძალიან ჭკვიანი პატრონი და მწვრთნელი ჰყავს.

დღეს კიდევ...
დღეს ჩემპიონთა ლიგა იწყება!



AFP საიტიდან

# დღეს 19-წლამდელები ლიტვით იწყებენ


კობა ჟორჟიკაშვილი პირველ მატჩამდე საათებს ითვლის

ბადრი ქეთილაძის ფოტო

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს დღეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპი ეწყება. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდს ჯგუფში მეტოქეებად ლიტვა, სლოვენია და მასპინძელი ესტონეთი ჰყავს, ამ კომპანიიდან ორი საუკეთესო მეორე შესარჩევ ეტაპზე გადის.

ესტონეთში ერთი კვირის წინ ჩასულ ქართველებს ორჯერადი ვარჯიშები აქვთ, ტრავმები და მსგავსი ფათერაკები არავის აწუხებს.

ერთი სიტყვით, დღეს, ჩვენი დროით 17 საათზე ტალინის სტადიონ „კადრიორგ ზე“ ჟორჟიკაშვილის გუნდის პირველი მეტოქე ლიტვა იქნება.

აქვე ქართველ 19-წლამდელთა 18-კაციანი შემადგენლობაც:

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი (ტორპედო), რევაზ თევდორაძე (თბილისი);

მცველები: გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), ლერი ხოხონიშვილი (თბილისი), გიორგი ელბაქიძე, ზურაბ გვაძაბია, დავით მჭედლიშვილი (სამივე ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო);

ნახევარმცველები: გიორგი განუგრავა, გიორგი გიორგიძე (ორივე ზესტაფონი); ირაკლი ჩირიკაშვილი, კახა მახარაძე (ორივე დინამო), ნუკრი გოგოხია (თბილისი), მირზა ბჟალავა (ამერი);

თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), მიხეილ თოფურია (თბილისი), ლადო ლაფერაშვილი, ბექა გოცირიძე (ორივე ზესტაფონი).

ცოტა არ იყოს, უცნაური ამბავი: „სოხუმის“ მწვრთნელმა გოჩა ჟორჟოლიანმა, რომელმაც ორიოდ დღის წინ ერთი ამბავი ატეხა, ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელები ჩემი მოთამაშეების მოსყიდვას ცდილობდნენო, მოულოდნელად პირში წყალი ჩაიგუბა...



# გოჩა ჟორჟოლიანი: ვთქვი, მაგრამ არ მითქვამს

## ვინ დააძალა სოხუმის მწვრთნელს?

— ჩათვალეთ, რომ არაფერი მითქვამს, ფეხბურთელთა მოსყიდვის თაობაზე ჩემს განცხადებას გაგრძელება აღარ ექნება.

— ეგ როგორ?

— როგორც გაიგეთ. საქმე დამთავრებულია და აღარ გაგრძელდება.

— კი მაგრამ, თქვენ არ ამბობდით, ამ საქმეს ბოლომდე მივყვები და ზოგიერთი ფეხბურთელი ფეხბურთიდან მოიკვეთებაო?

— ვამბობდი, მაგრამ...

— **რა მაგრამ?**

— გადავიფიქრე... ხომ გითხარით, ჩათვალეთ, არაფერი მითქვამს.

— **ცოტა უცნაურია, როგორ ჩავთვალოთ, რომ არაფერი გითქვამთ, როცა საკმაოდ სკანდალური განცხადება საჯაროდ გააკეთეთ...**

— გადავიფიქრე...

აი, ასეთი პასუხები მივიღეთ გუშინ გოჩა ჟორჟოლიანისგან. ვიმედოვნებდით, „სოხუმის“ თავკაცი გუდას პირს მოხსნიდა და ნათქვამს ფაქტებით გაამყარებდა, მაგრამ, თურმე სად ხარ...

— საერთოდ, რატომ გააკეთეთ ასეთი განცხადება? — ვკითხეთ ბოლოს „სოხუმის“ მწვრთნელს, პასუხად კი წყვეტილი ზუმერი მივიღეთ.

...კი მაგრამ, ვინ აძალებდა გოჩა ჟორჟოლიანს სკანდალური განცხადების გაკეთებას?!

**ძოგა ინასარიძე**

# ეჭვი ლექს-სენზე

## ის ქომაგობს ლოკომოტივს

ხვალ ბათუმში სუპერთასია — ქვეყნის ჩემპიონი „დინამო“ თასის მფლობელი „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ. გუშინ კი ამ მატჩთან დაკავშირებით საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ პრესკონფერენცია მოაწყო...



რევაზ ლორთქიფანიძე

*პაატა ბურჯალიანი, პროფლიგის პრესსამსახურის უფროსი:* ხუთწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და პროფლიგამ სუპერთასის აღდგენა გადაწყვიტეს. ამ იდეას მხარს უჭერენ შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებიც — ლექს-სენი და „ჯეოსტარის“ გამარჯვებული არჩილ ნიჟარაძე. მატჩის წინ საქართველოს ჰიმნს ნიჟარაძე შეასრულებს, ხოლო ტაიმებს შორის შესვენებაზე ლექს-სენი იმღერებს. მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია აჭარის ტელევიზიაზე და საზოგადოებრივ არხზე იქნება.

*რევაზ ლორთქიფანიძე, პროფლიგის გენერალური მდივანი:* მატჩის ბათუმში გამართვა იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ არ გვინდა, მხოლოდ დედაქალაქში ჩავიკეტოთ. აუცილებელია, მნიშვნელოვანი მატჩები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც გაიმართოს. სუპერთასზე ფეხბურთელების მიერ მანამდე დაგროვებული ყვითელ-წითელი ბარათები არ იმოქმედებს და არც ამ მატჩში მიღებული ყვითელ-წითლები გადავა ჩემპიონატის თუ თასის მატჩებზე. სუპერთასს მხარს უჭერენ ქვეყნის და აჭარის კულტურისა და სპორტის სამინისტროები. ვფიქრობ, ეს მატჩი ბათუმში დიდ ინტერესს გამოიწვევს. სუპერთასისთვის მებრძოლი გუნდებისთვის საპრიზო ფონდი არ დაგვიწესებია, მაგრამ ორივე გუნდის მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯებს ჩვენ გავისტუმრებთ.

*ბაჩო კიკაბიძე, ლექს-სენის წარმომადგენელი:* ლექს-სენი ქართული ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელია. ზუსტად არ ვიცი, ვის უგულშემატკივრებს ლექს-სენი, მაგრამ ვეჭვობ, რომ უფრო „ლოკომოტივს“.

*არჩილ ნიჟარაძე:* პროფლიგის შემოთავაზებაზე, მატჩის წინ საქართველოს ჰიმნი მემღერა, სიამოვნებით დავთანხმდი. მე ორივე გუნდს ვგულშემატკივრობ.

**დავით თაგართქილაძე**

# ბათუმის ქულები ოთარ გაბელიაზეა



**ქუთაისის** „ტორპედოდან“ წასვლის შემდეგ ოთარ გაბელია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა. მოსალოდნელიც იყო, რომ გაბელია მალე რომელიმე ქართული კლუბის თავკაცი გახდებოდა და გუშინწინ „ბათუმის“ მწვრთნელი ამირან გოგიტიძე რომ გადადგა, მაშინვე მასზე ალაპარაკდნენ.

გამართლდა კიდეც: გუშინ კლუბის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ გაბელია ოფიციალურად დაინიშნა „ბათუმის“ დამრიგებლად და მუშაობასაც დღეიდან შეუდგება.

ფინანსურად წელგამართული ზღვისპირელები ამჟამად ცხრილში მეცხრე ადგილზე არიან, რაც ხელმძღვანელობას არ აკმაყოფილებს და იმედი აქვთ, რომ გაბელია გუნდს ლიდერებში ააცოცებს.

**ლუკა თალაკვაძე**

სუპერთასი

www.pfl.ge

დინამო (თბილისი)

ლოკომოტივი (თბილისი)

14 სექტემბერი 2005

დასაწყისი 16:00

ფასი: 3 ლარი

ბათუმის ცენტრალური სტადიონი

გენერალური სპონსორი:

მთავარი სპონსორი:

სპონსორი:

საინფორმაციო მხარდაჭერა:

მატჩის მხარდამჭერები: ლექს-სენი და არჩილ ნიჟარაძე

### საბერძნეთი

ეროვნული ლიგა. II ტური

ლარისა 2:0 კალითეა

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. V ტური

ლიბერეცი 2:1 სლოვაცკო

### შვედეთი

ალსვენსკა XXI ტური

იურგორდენი 2:0 მალმიო

ელფსბორგი 1:0 გეფლე

იორგრიტე 3:2 ჰამარბი

სუნდსვალი 0:0 გიოტებორგი

სუპერეტა XXIV ტური

იოსტერსი 1:0 ატვიდაბერგი

### ნორვეგია

I დივიზიონი. XXIII ტური

ფოლო 2:1 სანდეფიორდი

### ინგლისი

პრემიერლიგა. V ტური

ვესტ ჰემი 4:0 ასტონ ვილა

### იტალია

სერია B. III ტური

ტერნანა 2:2 პესკარა

### გერმანია

II ბუნდესლიგა. IV ტური

ბოხუმი 1:0 ჰანზა

### საფრანგეთი

II დივიზიონი. VII ტური

ლავალი 1:2 ბასტია

### ჰოლანდია

I დივიზიონი. VII ტური

დენ ბოსხი 2:0 ჰაარლემი

### პორტუგალია

სუპერლიგა. III ტური

პენაფიელი 0:3 ბელენენსეში

### საქართველოს ჩემპიონატი 17

პირველი ლიგა

პირველი წრე

4 ტური

**დინამო 2 3:1 რუსთავი**

**მეშაქრე 2:0 ვიტ ჯორჯია 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| დინამო 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 13:3 | 9 |
| ლოკომოტივი 2 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 9 |
| მერანი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| მესხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| რუსთავი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| საგარეჯო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| მეშახტე | 4 | 1 | 2 | 1 | 7:3 | 5 |
| მეშაქრე | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ზუგდიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 1:2 | 5 |
| გურია | 4 | 1 | 1 | 2 | 10:7 | 4 |
| ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ლიახვი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |
| გაგრა | 4 | 0 | 3 | 1 | 1:3 | 3 |
| თბილისი 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:12 | 1 |
| მალარიოელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:11 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ეროვნული კატეგორიის მსაჯი **იოსებ აფციაური** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

სარბიელელები მწუხარებას გამოვთქვამთ, რომ გარდაიცვალა ეროვნული კატეგორიის მსაჯი **იოსებ აფციაური** და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე

5 ტური მიმოხილვა

# ფიცი გვწამს, ზარი გვაკვირვებს

## გვარს არ დავასახელებ ანუ სკანდალი გვინდა, სკან-და-ლი!

„სიონმა" დაგეგმილი სამი ქულა აიღო სოხუმის „დინამოსთან" და ლიდერობა გაიხანგრძლივა. ნამატჩევს კი სოხუმელთა მწვრთნელმა გოჩა ჟორჟოლიანმა თქვა, მატჩამდე ერთ-ერთმა ბოლნისელმა ფეხბურთელმა ჩვენს მოთამაშეს (მოგვიანებით გაირკვა, რომ ლაპარაკი იყო მამუკა რუსიაზე) დაურეკა და შესთავაზა, „დაგვიწექით" და ფულს გამოვალთო. თავად რუსიამ შეიცხადა, ჩემთან არავის დაურეკავსო, ჟორჟოლიანი კი ბოლომდე აწვება, მაგრამ ხუტა უფროსივით იქცევა, გვარს არ ასახელებს. ასეთ კუკუდამალობანას რა აზრი აქვს, ეგ ვერ გაგვიგია: თუ ამბობ, თქვი, თუ არა, შეარგე გუნდს მოგება...

ისე კი, ამ მატჩს ყიდვა-გაყიდვისა არაფერი ეტყობოდა. ადრეც ბევრი გვინახავს ჩაწყობილი თამაშები, მაგრამ იქ ყველაფერი ჩალურჯებული წვივების გარეშე „ყომარდებოდა"...

## ბრიტანული კახეთი

თელავის „კახეთმა" ორი სასტარტო საშინაო მატჩი წააგო, მაგრამ ნამეტანი კახური სტუმართმოყვარეობა არ გამოგვივიდესო და, თბილისის „სპარტაკთან" ჩაიკაკლა სამი ქულა. თელაველებს ჩემპიონატიან-თასიანად მიჯრით ოთხი თამაში წაეგოთ, მაგრამ საამმატჩო ოქმს ჩახედეთ — „გივი ჩოხელი" თითქმის ბოლომდე შეივსო, 5 000 მაყურებელი საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე, თანაც აუტსაიდერთა შერკინებაზე.

მოკლედ, შედარებისთვის ნუ დაგვცინებთ და, კახელებს ბრიტანელებივით ერთგული ქომაგობა სცოდნიათ — გაჭირვებისასაც იქ არიან, სადაც უნდა იყვნენ.

ძალიან უცნაური რამაა საქართველოს ჩემპიონატი. უშუალოდ მინდორზე მომხდარზე მეტად ტრიბუნებიდან გამოსროლილი ყიამყრალობანი, აგრესია თუ ტრაგიკომიკური საუბრები ხვდება ყურს. რატომ? იმიტომ, რომ მინდორზე ხეირიანი თითქმის არაფერი ხდება, ათასში ერთხელ თუ გაიელვებს ნამდვილი ფეხბურთის ეპიზოდი.

ასე ჩაიარა მეხუთე ტურმაც. უფრო სწორად, უცნაურად დაიწყო და უცნაურად ჩამთავრდა...

## მეგრელაძის მბრწყინვალე

თელავისგან განსხვავებით, ოდენ ერთი მეათასედით „შეივსო" თბილისის ეროვნული სტადიონი, სადაც „დინამომ" გაჭირვებით აჯობა ყოჩაღ მესტუმრე „ცხინვალს" — სამაჩაბლოელებმა ხომ ექვსივე ქულა სწორედ სტუმრად მოინაგრეს. ამ მატჩზე ერთი წინადადების დაწერაც სამადლო იქნებოდა, რომ არა გიორგი მეგრელაძის ბრწყინვალე გოლი — დინამოელმა მაღალ ბურთს უძლიერესი ნახევარმაკრატელა შეაგება და პასუხი გასცა ზესტაფონელ სერგეი ნუდნის, რომელმაც სამიოდ კვირის წინ სწორედ „დინამოს" აძგერა დაახლოებით მსგავსი სუპერგოლი.

## ამირანმა ვერ აიწყვიტა და წავიდა

ამირან გოგიტიძემ ჩაფულიანებული „ბათუმი" ლიდერებში ვერ შეაძვრინა, „ლოკომოტივთან" წააგო და ქუდიც დაიხურა — ხელმძღვანელობა შედეგს ითხოვს, შედეგი კი არ გვაქვს და ამ დროს მწვრთნელს წასვლის გარდა არაფერი დარჩენიაო...

## ცხრაქულიანი ქუთათელაძე

ფოთის „კოლხეთმა" შინ სამივე მატჩი მოიგო, სამივე 1:0 და სამივეჯერ ზვიად ქუთათელაძის გოლით. მართლაც უცნაური და საინტერესო სტატისტიკაა — ასე თუ გაგრძელდა, კოლხები ჩემპიონატს, სულ ცოტა, 45 ქულით დაამთავრებენ, ქუთათელაძეს კი 15 გოლი მოუგროვდება. ეს ხუმრობით, თუმცა ხუმრობს კი ზვიადი?..



თბილისი — ბორჯომი 0:5. მეხუთე ტურის ყველაზე უხვგოლიან მატჩში ბორჯომელებმა დედაქალაქელები გაიცამტვერეს

## უგოლ-უქულო ფსკეროსნები

ცხრილში სამი აუტსაიდერი გამოიკვეთა, რომელთაგან „სპარტაკი" და „ტორპედო" ერთნაირად იძირებიან. ორივეს კინკილა ქულა აქვს, გოლების გრაფაში კი ნული უწერიათ. ამათგან ქუთაისელებს უფრო უნდა ჰქონდეთ იმედი — ფული თითქოს აქვთ, ფულით კი ფეხბურთელი იშოვება, ჰოდა, მოვა ზამთარი და „ტორპედოც", ალბათ, ტრანსფერებზე დატრიალდება. „სპარტაკისა" კი რა მოგახსენოთ...

აი, მთავარმა ფსკეროსანმა „თბილისმა" ეს ერთი ქულაც ვერაფრით გამოჩარხა, თუმცა გუნდი ტურიდან ტურამდე უმატებდა. დიახ, უმატებდა, მაგრამ გუშინწინ „ბორჯომთან"...

## საკვირაო გამოფენა ქორიძემ პოკერი გაშალა

უჰეთთრიქო ოთხტურეულის შემდეგ ბორჯომელმა გიორგი ქორიძემ პოკერი შეასრულა, „თბილისის" ჭაბუკებს ქორივით დააცხრა თავს და მწვრთნელს რომ არ შეეცვალა, ვინძლო, კიდევ გაიტანდა გოლს (ან გოლებს).

0:5 — სალაპარაკო ბევრიც არაფერია, ასაკმა და გამოცდილებამ „ბორჯომს" „ტანცი-მანცით" მოაგებინა და მეორე ადგილზე დაასკუპა.

**ილია ნანობაშვილი**

### სიმბოლური ნაკრები

ჯაბა დვალი — სიონი
გიორგი ქორიძე — ბორჯომი
კოკა მიქუჩაძე — სიონი
რევაზ გეწაძე — ბორჯომი
დინის დობროვოლსკი — ამერი
დავით სირაძე — ლოკომოტივი
დავით გურდული — კახეთი
ქრისტეფორე შატაკიშვილი — დილა
ვახტანგ ხვადაგიანი — ამერი
დავით სვანიძე — სიონი
გრიგოლ ჭანტურია — ლოკომოტივი

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 5-ქორიძე | ბორჯომი |
| 4-დვალი | სიონი |
| 3-მეგრელაძე | დინამო |
| ქუთათელაძე | კოლხეთი |
| 2-ს. ბურნაძე | ბორჯომი |
| ბ. ჩიტაია | ცხინვალი |
| გურდული | კახეთი |
| ჭ. ხანიშვილი | დილა |
| სირაძე | ლოკომოტივი |
| დოლიძე | სიონი |
| ს. დავითაშვილი | ამერი |
| რ. ონიანი | ლოკომოტივი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:2 | 13 |
| ბორჯომი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 11 |
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| ამერი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ზესტაფონი | 4 | 3 | 0 | 1 | 4:2 | 9 |
| კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 3:3 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბათუმი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 7 |
| ცხინვალი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:4 | 6 |
| დილა | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 6 |
| კახეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | 6 |
| სოხუმი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| სპარტაკი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:4 | 1 |
| ტორპედო | 5 | 0 | 1 | 4 | 0:5 | 1 |
| თბილისი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | 0 |

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „გივი ჩოხელი" თელავი | კახეთი 1:0 სპარტაკი | 8,5 | 8,5 | 9,5 | 8,8 |
| „ეროვნული" თბილისი | დინამო 1:0 ცხინვალი | 8,5 | 8,5 | 5,5 | 7,5 |
| „შევარდენი" თბილისი | სოხუმი 1:2 სიონი | 8,0 | 6,5 | 8,0 | 7,5 |
| „ფაზისი" ფოთი | კოლხეთი 1:0 ტორპედო | 7,5 | 6,5 | 7,0 | 7,0 |
| „ოლიმპი" თბილისი | თბილისი 0:5 ბორჯომი | 9,5 | 7,0 | 3,5 | 6,6 |
| „თენგიზ ბურჯანაძე" გორი | დილა 0:1 ამერი | 7,5 | 6,0 | 3,0 | 5,5 |
| „დინამო" ბათუმი | ბათუმი 0:1 ლოკომოტივი | 6,5 | 6,5 | 3,0 | 5,3 |
| „ცენტრალური" ზესტაფონი | ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია | – | – | – | – |

### მომდევნო ტური

16 სექტემბერი, პარასკევი

სპარტაკი – თბილისი

17 სექტემბერი, შაბათი

ამერი – ცხინვალი

ბორჯომი – ზესტაფონი

სიონი – კახეთი

ტორპედო – სოხუმი

დილა – ბათუმი

18 სექტემბერი, კვირა

ვიტ ჯორჯია – დინამო

ლოკომოტივი – კოლხეთი

# ქართველები უცხოეთში




შოთა არველაძეზე ჰოლანდიაში უკვე ბევრს ლაპარაკობენ

## მეორედ დაბადება

### შოთა არველაძემ ჰოლანდია გოლებით და პასებით აიკლო

*შოთა არველაძის ფანტასტიკური სეზონი გრძელდება* — ჰოლანდიურ „ალკმაარში" გადასვლით „ახლადდაბადებული" ქართველი მეგოლე ყოველ ტურში საოცრებებს ჩადის. შოთამ ოთხ მატჩში შვიდი გოლი გაიტანა და ექვსი საგოლე პასი გააკეთა, რაც, დაგვეთანხმებით, მშვენიერი შედეგია — 32 წლის არველაძე დღეს ჰოლანდიაში ყველაზე რეზონანსული ფეხბურთელია...

შოთას გააქვს და „ალკმაარიც" დიდი ანგარიშებით იგებს — ლუის ვან გაალის გუნდმა ამ ტურში 7:0 გაანადგურა „როზენდალი" და კვლავაც პირველ ადგილზეა სატურნირო ცხრილში, შოთამ კი ჰეთ თრიქით, ორი საგოლე პასით და მონადირებული პენალტით გამოიჩინა თავი.

*სასიამოვნო იყო ზურაბ ხიზანიშვილის ინგლისური დებიუტიც* — „ბლექბერნის" ქართველმა ახალწვეულმა „ბოლტონთან" მატჩში ფაქტობრივად მთელი 90 წუთი უშეცდომოდ ითამაშა. შეხვედრა 0:0 დასრულდა, პრესკონფერენციაზე კი ბლექბერნელთა თავკაცმა მარკ ჰიუზმა განსაკუთრებულად შეაქო ხიზანიშვილი.

*ბუნდესლიგელი ქართველები ჯერჯერობით ვერ ჩაუქრობენ,* თუმცა ისიცაა, რომ ორივეს საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ჰყავდა — ***ლევან კობიაშვილის*** „შალკე" „ლევერკუზენს" დაუზავდა, ***ლევან ცქიტიშვილის*** „ვოლფსბურგმა" კი ბერლინის „ჰერტასთან" დაყარა ფარ-ხმალი. ჩვენებმა ძირითადში ითამაშეს და 90-90 წუთი დაყვეს მოედანზე.

*ქართველთმოძულე „ალანიამ" მორიგი მატჩი წააგო* — ვლადიკავკაზელებმა შინ „მოსკვასთან" ვერაფერი გააწყვეს. ჩვენებურთაგან მხოლოდ ***გიორგი დემეტრაძემ*** ითამაშა, დანარჩენები კი სარეზერვო გუნდშიაც არ გამოჩენილან.

*უკრაინაში ლაშა ჯაკობიამ იყოჩაღა,* ზაპოროჟიეს „მეტალურგს" ერთი გოლი გაუტანა და თავისიანებს 3:1 მოაგებინა. ახლა ლაშას 8 მატჩში 5 გოლი აქვს შეგდებული, „მეტალისტი" კი მესამე ადგილზეა სატურნირო ცხრილში.

უკრაინაშივე ჩვენთვის საინტერესო ერთი ამბავიც მოხდა — ექსდინამოელმა *ილია კანდელაკმა* პირველად მოირგო ოდესის „ჩერნომორეცის" მაისურა. ოდესელები კიევის „დინამოსთან" 0:1 დამარცხდნენ, კანდელაკმა კი სრულად ითამაშა და გაფრთხილებასაც გამოჰკრა ხელი.

*ლატვიაში თასის ნახევარფინალი გაიმართა* და რიგის „სკონტო" გავარდა. ***კორღალიძე-მენთეშაშვილ-ელიავა-ჩალაძის*** გუნდმა ეს ***ალექსანდრე რეხვიაშვილის*** „ვენტსპილსთან" „მოახერხა". რიგელები 0:1 დამარცხდნენ და უკვე ის დრო დგება, ლატვიაში „სკონტოს" ჰეგემონიის დამხობას რომ ელიან.

*კვიპროსის ჩემპიონატის მეორე ტურში ჩემპიონმა „ანართოსისმა" მოულოდნელად წაიფორხილა დებიუტანტ „აპეპთან",* თანაც შინ — 1:1. ფამაგუსტელთა შორის ქართველთაგან მხოლოდ *თემურ ქეცბაიამ* ითამაშა, ისიც 55 წუთი. *კლიმენტი წიტაიშვილი* და *გიორგი გაბიდაური* კი არ გამოჩენილან.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | სიენა 3:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 4 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | ლევერკუზენი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 0 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | ს | ჰერტა 0:3 | 90 | | 4 | 0 | 10 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ოფენბახი 1:2 | 90 | | 4 | 0 | 9 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | ოფენბახი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 9 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | შ | ლევერკუზენი (მ) 1:0 | 88 | შეცვალეს | 6 | 1 | 2 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | ს | ტრირი 1:1 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 2 | 14 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ბოლტონი 0:0 | 90 | | 1 | 0 | 12 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | როზენდალი 7:0 | 90 | 3 გოლი, 2 საგოლე პასი | 4 | 7 | 1 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ვიტესი 0:1 | 75 | შეცვალეს | 4 | 0 | 13 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რიდი 3:1 | 90 | | 7 | 4 | 5 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | | ტური გამოტოვა | | | 22 | 1 | 1 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | | ტური გამოტოვა | | | 0 | 0 | 1 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | | ტური გამოტოვა | | | 0 | 0 | 1 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | | ტური გამოტოვა | | | 0 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | როსტოვი | შ | ამკარი 2:0 | 72 | შეცვალეს | 8 | 1 | 15 |
| გოჩა ხოჯავა | როსტოვი | შ | ამკარი 2:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 15 |
| ბექა ყლენტი | ტორპედო | ს | კრილია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ანზორ კალაძე | ტორპედო | ს | კრილია 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | მოსკვა 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 17 | 1 | 14 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | მოსკვა 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 6 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ალანია | შ | მოსკვა 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 13 | 0 | 14 |
| დავით კვირკველია | ალანია | შ | მოსკვა 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 13 | 0 | 14 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | შ | მოსკვა 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 0 | 14 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | შ | მოსკვა 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 7 | 0 | 14 |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | მოსკვა 0:2 | 50 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 2 | 14 |
| გიორგი ქინქლაძე | რუბინი | ს | დინამო 1:3 | 81 | შეცვალეს | 2 | 0 | 6 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | დინამო 1:3 | 90 | | 17 | 0 | 6 |
| ზურაბ არზიანი | რუბინი | ს | დინამო 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | შ | ანჟი 1:0 | 0 | | 12 | 0 | 3 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | შ | ანჟი 1:0 | 0 | | 5 | 0 | 3 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ყუბანი 0:0 | 0 | | 15 | 0 | 2 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ხიმკი 0:1 | 90 | | 26 | 1 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | სოკოლი 3:0 | 0 | | 11 | 0 | 10 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | გაზპრომი 0:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 26 | 3 | 19 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | დინამო 2:1 | 90 | გააფრთხილეს | 28 | 2 | 16 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | ფაკელი 4:0 | 0 | | 8 | 0 | 9 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მეტალისტი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | მეტალისტი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | შ | მ. ზაპოროჟიე 3:1 | 90 | 1 გოლი | 8 | 5 | 3 |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი | ს | ზაკარპატიე 0:0 | 85 | შეცვალეს | 8 | 3 | 7 |
| გიორგი ციმაკურიძე | სტალი | შ | ტავრია 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 11 |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი | შ | დინამო 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | 6 |
| ირაკლი ქორთუა | დინამო | ს | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ოფი 1:1 | 90 | | 2 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | ივერდონი 2:0 | 3 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 2 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აპეპი 1:1 | 55 | შეცვალეს | 2 | 1 | 5 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აპეპი 1:1 | 0 | | 1 | 1 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აპეპი 1:1 | 0 | | 1 | 0 | 5 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | ომონია 2:3 | 90 | | 2 | 1 | 7 |
| **ლატვია. თასის ნახევარფინალი** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:1 | 0 | | | | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:1 | 90 | | | | |
| ზაალ ელიავა | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:1 | 90 | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვენტსპილსი 0:1 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| ალეკო რეხვიაშვილი | ვენტსპილსი | შ | სკონტო 1:0 | 90 | | | | |
| გოგა მოდებაძე | ვენტსპილსი | შ | სკონტო 1:0 | 0 | | | | |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | ვოსტოკი | შ | თარაზი 0:2 | 90 | | 18 | 5 | 10 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | შ | ოკჟეტპესი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 15 | 0 | 11 |
| დავით ჭიჭვეიშვილი | ატირაუ | შ | ჟეტისუ 3:2 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| ლევან სანიკიძე | ტობოლი | შ | ბოგატირი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 1 | 0 | 2 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. ჯგუფური ეტაპი

## A ჯგუფი

**ბაიერნი** მიუნხენი, გერმანია
**იუვენტუსი** ტურინი, იტალია
**ბრიუგე** ბელგია
**რაპიდი** ვენა, ავსტრია

I ტური. 14.09.05
რაპიდი – ბაიერი
ბრიუგე – იუვენტუსი
II ტური. 27.09.05
იუვენტუსი – რაპიდი
ბაიერნი – ბრიუგე
III ტური. 18.10.05
ბაიერნი – იუვენტუსი
რაპიდი – ბრიუგე

IV ტური. 02.11.05
იუვენტუსი – ბაიერნი
ბრიუგე – რაპიდი
V ტური. 22.11.05
ბაიერნი – რაპიდი
იუვენტუსი – ბრიუგე
VI ტური. 07.12.05
რაპიდი – იუვენტუსი
ბრიუგე – ბაიერნი

## B ჯგუფი

**არსენალი** ლონდონი, ინგლისი
**აიაქსი** ამსტერდამი, ჰოლანდია
**სპარტა** პრაღა, ჩეხეთი
**თუნი** შვეიცარია

I ტური. 14.09.05
სპარტა – აიაქსი
არსენალი – თუნი
II ტური. 27.09.05
თუნი – სპარტა
აიაქსი – არსენალი
III ტური. 18.10.05
აიაქსი – თუნი
სპარტა – არსენალი

IV ტური. 02.11.05
თუნი – აიაქსი
არსენალი – სპარტა
V ტური. 22.11.05
აიაქსი – სპარტა
თუნი – არსენალი
VI ტური. 07.12.05
სპარტა – თუნი
არსენალი – აიაქსი

## C ჯგუფი

**ბარსელონა** ესპანეთი
**პანათინაიკოსი** ათენი საბერძნეთი
**ვერდერი** ბრემენი, გერმანია
**უდინეზე** უდინე, იტალია

I ტური. 14.09.05
უდინეზე – პანათინაიკოსი
ვერდერი – ბარსელონა
II ტური. 27.09.05
ბარსელონა – უდინეზე
პანათინაიკოსი – ვერდერი
III ტური. 18.10.05
პანათინაიკოსი – ბარსელონა
უდინეზე – ვერდერი

IV ტური. 02.11.05
ბარსელონა – პანათინაიკოსი
ვერდერი – უდინეზე
V ტური. 22.11.05
პანათინაიკოსი – უდინეზე
ბარსელონა – ვერდერი
VI ტური. 07.12.05
უდინეზე – ბარსელონა
ვერდერი – პანათინაიკოსი

## D ჯგუფი

**მანჩესტერი** ინგლისი
**ვილეარეალი** ესპანეთი
**ლილი** საფრანგეთი
**ბენფიკა** ლისაბონი, პორტუგალია

I ტური. 14.09.05
ვილიარეალი – მანჩესტერი
ბენფიკა – ლილი
II ტური. 27.09.05
ლილი – ვილიარეალი
მანჩესტერი – ბენფიკა
III ტური. 18.10.05
მანჩესტერი – ლილი
ვილიარეალი – ბენფიკა

IV ტური. 02.11.05
ლილი – მანჩესტერი
ბენფიკა – ვილიარეალი
V ტური. 22.11.05
მანჩესტერი – ვილიარეალი
ლილი – ბენფიკა
VI ტური. 07.12.05
ვილიარეალი – ლილი
ბენფიკა – მანჩესტერი

## E ჯგუფი

**მილანი** იტალია
**პსვ** ეინდჰოვენი, ჰოლანდია
**შალკე** გელზენკირხენი გერმანია
**ფენერბაჰჩე** სტამბოლი თურქეთი

I ტური. 13.09.05
მილანი – ფენერბაჰჩე
პსვ – შალკე
II ტური. 28.09.05
შალკე – მილანი
ფენერბაჰჩე – პსვ
III ტური. 19.10.05
მილანი – პსვ
ფენერბაჰჩე – შალკე

IV ტური. 01.11.05
პსვ – მილანი
შალკე – ფენერბაჰჩე
V ტური. 23.11.05
ფენერბაჰჩე – მილანი
შალკე – პსვ
VI ტური. 06.12.05
მილანი – შალკე
პსვ – ფენერბაჰჩე

## F ჯგუფი

**რეალი** მადრიდი, ესპანეთი
**ლიონი** საფრანგეთი
**ოლიმპიაკოსი** პირეოსი საბერძნეთი
**როსენბორგი** ტრონჰეიმი ნორვეგია

I ტური. 13.09.05
ლიონი – რეალი
ოლიმპიაკოსი – როსენბორგი
II ტური. 28.09.05
როსენბორგი – ლიონი
რეალი – ოლიმპიაკოსი
III ტური. 19.10.05
რეალი – როსენბორგი
ლიონი – ოლიმპიაკოსი

IV ტური. 01.11.05
როსენბორგი – რეალი
ოლიმპიაკოსი – ლიონი
V ტური. 23.11.05
რეალი – ლიონი
როსენბორგი – ოლიმპიაკოსი
VI ტური. 06.12.05
ლიონი – როსენბორგი
ოლიმპიაკოსი – რეალი

## G ჯგუფი

**ლივერპული** ინგლისი
**ჩელსი** ლონდონი, ინგლისი
**ანდერლეხტი** ბრიუსელი ბელგია
**ბეტისი** სევილია, ესპანეთი

I ტური. 13.09.05
ჩელსი – ანდერლეხტი
ბეტისი – ლივერპული
II ტური. 28.09.05
ლივერპული – ჩელსი
ანდერლეხტი – ბეტისი
III ტური. 19.10.05
ანდერლეხტი – ლივერპული
ჩელსი – ბეტისი

IV ტური. 01.11.05
ლივერპული – ანდერლეხტი
ბეტისი – ჩელსი
V ტური. 23.11.05
ანდერლეხტი – ჩელსი
ლივერპული – ბეტისი
VI ტური. 06.12.05
ჩელსი – ლივერპული
ბეტისი – ანდერლეხტი

## H ჯგუფი

**ინტერი** მილანი, იტალია
**პორტუ** პორტუგალია
**რეინჯერსი** გლაზგო, შოტლანდია
**პეტრჟალკა** ბრატისლავა სლოვაკეთი

I ტური. 13.09.05
პეტრჟალკა – ინტერი
რეინჯერსი – პორტუ
II ტური. 28.09.05
ინტერი – რეინჯერსი
პორტუ – პეტრჟალკა
III ტური. 19.10.05
პორტუ – ინტერი
რეინჯერსი – პეტრჟალკა

IV ტური. 01.11.05
ინტერი – პორტუ
პეტრჟალკა – რეინჯერსი
V ტური. 23.11.05
ინტერი – პეტრჟალკა
პორტუ – რეინჯერსი
VI ტური. 06.12.05
რეინჯერსი – ინტერი
პეტრჟალკა – პორტუ

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი I ტური. დღეს

## E ჯგუფი

მილანი — ფენერბაჰჩე

პსვ ეინდჰოვენი — შალკე

# მილანის პირველი ვენდეტა

„მილანი" ჩემპიონთა ლიგას „ფენერბაჰჩესთან" მატჩით იწყებს, რომელსაც არასოდეს შეხვედრია. „შავ-წითლებმა" ბოლო შვიდი საშინაო სალიგო თამაშიდან ყველა მოიგეს და მხოლოდ სამი გოლი გაუშვეს. რაც შეეხება „ფენერბაჰჩეს", იტალიაში ბოლო ოთხი სტუმრობა თურქებისთვის მარცხით დასრულდა. სტამბოლურმა კლუბმა ორი გაიტანა და თერთმეტი საკუთარ კარში მიიღო.

„მილანის" მთავარმწვრთნელ ანდრეი შევჩენკომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიხსენა: „სტამბოლური მატჩის დავიწყება შეუძლებელია. „ლივერპულთან" მარცხისგან სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. ლიგაში მაღალი დონის გუნდები თამაშობენ, რომლებიც შეცდომებს არ გაპატიებენ. ძალიან მნიშვნელოვანია „სან სიროზე" პირველი მატჩის მოგება და „ფენერბაჰჩესთან" სამი ქულისთვის ვითამაშებთ".

სტამბოლის „ფენერბაჰჩემ" გასულ უქმეებზე „ანკარასფორს" 2:1 მოუგო. თურქული კლუბის მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა განაცხადა, სამილანოდ ანკარელებთან ნათამაშები შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებო.

გუს ჰიდინკის პსვ, რომელმაც წინა გათამაშებაში ნახევარფინალს უწია, გელზენკირხენის „შალკეს" უმასპინძლებს. ჰოლანდიურმა კლუბმა ამ ზაფხულს სამი ფეხბურთელი გაყიდა: ორი კორეელი ნახევარმცველი და გუნდის კაპიტანი მარკ ვან ბომელი. ამას თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ გუნდი შარშანდელთან შედარებით დასუსტდა. „შალკესთან" მატჩში მასპინძლებს ბრაზილიელი მცველი ალექსი ტრავმის გამო დააკლდებათ.

პსვ გერმანულ კლუბებს 28-ჯერ შეხვედრია, მაგრამ „შალკეს" არასოდეს გადაჰყრია. ჰოლანდიურმა კლუბმა ბუნდესლიგელებთან ექვსჯერ მოიგო, ხუთჯერ დაამარცხდა, სამი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## F ჯგუფი

ლიონი — რეალი

ოლიმპიაკოსი — რუსენბორგი

# რეალი ლიგას უზიდანოდ იწყებს

**დღეს** ვანდერლეი ლუშემბურგოს მადრიდის „რეალი" ფრანგთა ჩემპიონატის თაოსან „ლიონს" ზიდანისა და რონალდოს გარეშე მიაკითხავს. ზიზუ ტრავმის გამო სამი კვირა სამეფო გუნდის ლაზარეთში იქნება, კიჭა კი ევროტურნირებზე ორი თამაშით დააჯარიმეს და, ცხადია, გალებთან შერკინების უფლებასაც არავინ მისცემს. „რეალი" ესპანეთის ჩემპიონატში დღეს მერვე ადგილზეა და საფრანგეთში სტუმრობაც ცუდ განწყობაზე უწევს, პრიმერადივიზიონის მეორე ტურში „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სელტასთან" წააგო. ესპანელთა მეტოქე კი პირიქით, მშვენიერ განწყობაზეა — „ლიონმა" ახლახან „მონაკო" 2:1 დაამარცხა და გალთა პირველობის ლიდერობაც ჩაიბარა. 13 სექტემბრის ჯახში მასპინძელთა ერთადერთი დანაკლისი კრისი იქნება. ბრაზილიელ მცველს დაშავებული მუხლი აწუხებს და, სავარაუდოდ, მადრიდელებთან ვერ ითამაშებს.

**F** ჯგუფის მეორე შეხვედრაში „ოლიმპიაკოსი" ნორვეგიულ „რუსენბორგს" დაუხვდება. ელინმა ოლიმპიელებმა კვირას თავიანთ ჩემპიონატში „პანიონიოსი" 5:0 დაამიწეს და ჩრდილოელთა შემოსევასაც მშვიდად ელოდებიან. „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელმა ტრონდ სოლიედმა აღარ გარისკა და გუნდის მთავარი იმედი რივალდო „პანიონიოსთან" მოედანზე არ გამოიყვანა — „ბარსას" ექსვარსკვლავს დამრიგებელი ნორვეგიელთა აოხრებას ანდობს. „რუსენბურგი" საბერძნეთში სერიოზული დანაკლისით ჩადის — კრისტერ ბასმა, რობი რასელი და მიკა კოპინენი თავიანთ ტრავმის გამო არ ითამაშებენ. ასევე საეჭვოა გუნდის ძირითადი გოლკიპერის ბურთაობაც — ესპენ იონსენმა „ვიკინგთან" ამასწინანდელი მატჩი ხელის ტკივილის გამო გამოტოვა და ალბათ დღესაც სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევს. ხსენებული ჯახში „რუსენბურგმა" 3:2 წააგო.

**ლადო ხომერიკი**

## E ჯგუფი

### მილანი (იტალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ნელსონ დიდა | 07.10.73 |
| 12 | ვალერიო ფიორი | 27.04.69 |
| 16 | ჟელკო კალაჩი | 16.12.72 |
| 40 | ეროს ფავარეტო | 29.09.86 |
| | **მცველები** | |
| 2 | მარკოს კაფუ | 07.06.70 |
| 3 | პაოლო მალდინი | 26.06.68 |
| 4 | კახა კალაძე | 27.02.78 |
| 5 | ალესანდრო კოსტაკურტა | 24.04.66 |
| 13 | ალესანდრო ნესტა | 19.03.76 |
| 17 | დარიო შიმიჩი | 12.11.75 |
| 18 | მარეკ იანკულოვსკი | 09.05.77 |
| 31 | იაპ სტამი | 17.07.72 |
| 42 | დავიდე ასტორი | 07.01.87 |
| 46 | ლინო მარცორატი | 12.10.86 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | ჯენარო გატუზო | 09.01.78 |
| 10 | მანუელ რუი კოშტა | 29.03.72 |
| 14 | იოჰან ფოგელი | 08.03.77 |
| 20 | კლარენს ზეედორფი | 01.04.76 |
| 21 | ანდრეა პირლო | 19.05.79 |
| 22 | რიკარდო კაკა | 15.05.82 |
| 23 | მასიმო ამბროზინი | 29.05.77 |
| 27 | კლაუდიო სერჟინიო | 27.06.71 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | ანდრეი შევჩენკო | 29.09.76 |
| 9 | ფილიპო ინძაგი | 09.08.73 |
| 11 | ალბერტო ჯილარდინო | 05.07.82 |
| 32 | კრისტიან ვიერი | 12.07.73 |
| 41 | მატეო არდემანი | 26.03.87 |

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

### პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ეურელიო გომესი | 15.02.81 |
| 21 | ედვინ ზოტებიე | 07.05.70 |
| 23 | ნათან კოე | 01.06.84 |
| | **მცველები** | |
| 2 | ანდრე ოიერი | 11.07.74 |
| 3 | მიხაელ რაიციგერი | 03.05.73 |
| 4 | ალექსი | 17.06.82 |
| 6 | ტიმი სიმონსი | 11.12.76 |
| 14 | ოსმარ ფერეირა | 09.01.83 |
| 18 | ერიკ ადო | 12.11.78 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | მიკა ვაირინერი | 28.12.81 |
| 8 | ფილიპ კოკუ | 29.10.70 |
| 16 | თეო ლუსიუსი | 19.12.76 |
| 19 | მიხაელ ლემეი | 29.11.79 |
| 20 | იბრაჰიმ აფელეი | 02.04.86 |
| 22 | შაბა ფეჰერი | 02.09.75 |
| 25 | ჯონ დე იონგი | 08.03.77 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ვენეგოორ ოფ ჰესელინკი | 07.11.78 |
| 11 | დამარკუს ბისლი | 24.05.82 |
| 17 | ჯეფერსონ ფარფანი | 28.10.84 |
| 29 | რობერტი | 27.02.81 |
| 35 | ჯერალდ სიბონი | 19.04.74 |

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

### შალკე (გერმანია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ფრანკ როსტი | 30.06.73 |
| 13 | კრისტოფერ ჰაიმეროტი | 01.08.81 |
| 29 | მანუელ ნოიერი | 27.03.86 |
| | **მცველები** | |
| 4 | ტომას კლეზენერი | 14.08.76 |
| 5 | მარსელო ბორდონი | 07.01.76 |
| 6 | ჰამიტ ალტინტოპი | 08.12.82 |
| 12 | მარკო ვან ჰოოგდალენი | 23.05.72 |
| 15 | ტომაშ ვალდოხი | 10.05.71 |
| 16 | დარიო როდრიგესი | 17.09.74 |
| 20 | მლადენ კრსტაიჩი | 04.03.74 |
| 24 | კრისტიან პანდერი | 28.08.83 |
| 26 | ნიკო ბუნგერტი | 24.10.86 |
| 27 | ტიმ ჰოოგლანდი | 11.06.85 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 2 | კრისტიან პაუცენი | 28.02.80 |
| 3 | ლევან ქობიაშვილი | 10.07.77 |
| 7 | მიმუნ აზაუადი | 17.11.82 |
| 8 | ფაბიან ერნსტი | 30.05.79 |
| 10 | ლინკოლნი | 22.01.79 |
| 19 | გუსტავო ვარელა | 14.05.78 |
| 21 | ალექსანდრ ბაუმიოჰანი | 23.01.87 |
| 23 | სიმონ ჩომერი | 06.11.80 |
| 25 | ზლატან ბაირამოვიჩი | 12.08.79 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | სიორენ ლარსენი | 06.09.81 |
| 11 | ებე სანდი | 19.07.72 |
| 14 | ჯერალდ ასამოა | 03.10.78 |
| 22 | კევინ კურანი | 02.03.82 |

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

### ფენერბაჰჩე (თურქეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ვოლკან დემილერი | 27.10.81 |
| 22 | სერდად კულბილგე | 07.07.80 |
| 34 | რუშტუ რეჩბერი | 10.05.73 |
| | **მცველები** | |
| 2 | ფაბიო ლუსიანო | 29.04.75 |
| 3 | სერვეტ ჩეტინი | 17.03.81 |
| 5 | უმით ოზათი | 30.10.76 |
| 6 | მაჰმუტ ერდოღდუ | 01.06.83 |
| 17 | კენ არატი | 21.01.84 |
| 19 | ონდერ ტურაჩი | 14.07.81 |
| 24 | დენიზ ბარიში | 02.07.77 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | სტეფან აპია | 24.12.80 |
| 7 | მეჰმეტ იოზგათლი | 09.01.79 |
| 15 | მარკო აურელიო | 15.12.77 |
| 20 | ალექსი | 14.09.77 |
| 21 | სელჩუკ საჰინი | 31.01.81 |
| 27 | კემალ ასლანი | 24.10.81 |
| 30 | სერკან ბალჩი | 22.08.83 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 8 | ზაფერ ბირიოლი | 02.10.76 |
| 10 | თუნჯაიო სანლი | 16.01.82 |
| 11 | მარსიო ნობრე | 11.06.80 |
| 16 | კერიმ ზენგინი | 13.04.85 |
| 18 | გურან გურსოი | 24.09.87 |
| 23 | სემი შენტურკი | 29.04.83 |
| 29 | ოლკან ადინი | 30.09.85 |
| 39 | ნიკოლა ანელკა | 14.07.73 |

მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი

## F ჯგუფი

### რეალი (ესპანეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | იკერ კასილიასი | 20.05.81 |
| 13 | დიეგო ლოპესი | 09.11.81 |
| | **მცველები** | |
| 2 | მიჩელ სალგადო | 22.10.75 |
| 3 | რობერტო კარლოსი | 10.04.73 |
| 6 | ივან ელგერა | 28.03.75 |
| 15 | რაულ ბრავო | 14.04.81 |
| 18 | ჯონათან ვუდგეიტი | 22.01.80 |
| 21 | კარლოს დიოგო | 18.07.87 |
| 22 | ფრანსისკო პავონი | 09.01.80 |
| 24 | ალვარო მეხია | 18.01.82 |
| ? | მინამბრესი | 01.01.81 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | ზინედინ ზიდანი | 23.06.72 |
| 8 | ჟულიო ბაპტისტა | 01.10.81 |
| 12 | პაბლო გარსია | 11.05.77 |
| 14 | გუტი | 31.10.76 |
| 16 | თომას გრავესენი | 11.03.76 |
| 23 | დევიდ ბექემი | 02.05.75 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | რაული | 27.06.77 |
| 9 | რონალდო | 29.09.76 |
| 11 | მაიკლ ოუენი | 14.12.79 |
| 17 | ხავიერ პორტილიო | 30.03.82 |
| ? | რობინიო | 25.01.84 |

მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო

### ლიონი (საფრანგეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | გრეგორი კუპე | 31.12.72 |
| 25 | ჟოან ჰარტოკი | 17.02.87 |
| 30 | რემი ვერკუტრი | 26.06.80 |
| 35 | რემი რიუ | 16.08.87 |
| | **მცველები** | |
| 3 | კრისი | 03.06.77 |
| 5 | კლაუდიო კასაპა | 09.05.76 |
| 12 | ენტონი რეველიერი | 10.11.79 |
| 15 | ლამინე დიატა | 02.07.75 |
| 20 | ერიკ აბიდალი | 11.07.73 |
| 23 | ჯერემი ბერთოდი | 24.04.84 |
| 24 | სილვიან მონსორიუ | 20.03.81 |
| 27 | იოჰან ტრუშე | 16.08.83 |
| 31 | ფრენსის კლერკი | 18.04.83 |
| 36 | ალექსის გენეტი | 09.06.82 |
| 38 | მურად ბენჰამიდა | ??? |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ჯერემი კლემენტი | 26.08.84 |
| 7 | მაჰამადუ დიარა | 18.05.81 |
| 8 | ჟინინო პერნაბუკანო | 30.01.75 |
| 10 | ფლორენ მალუდა | 13.06.80 |
| 18 | ჰატემ ბენ არფა | 07.03.87 |
| 21 | ტიაგო | 02.05.81 |
| 26 | ბენუა პედრეტი | 12.11.80 |
| 32 | რომან ბეინი | ??? |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | იონ კარეუ | 05.09.79 |
| 11 | ფრედი | 03.10.83 |
| 13 | პიერ-ალან ფრო | 15.04.80 |
| 14 | სიდნეი გოვუ | 27.07.79 |
| 19 | ქრარინ ბენზემა | 17.12.87 |
| 22 | სილვენ ვილტორდი | 10.05.74 |
| 34 | ჟულიენ ვიალე | 13.02.82 |

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

### ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 29 | თეოდოროს დუგეროგლუ | 16.12.85 |
| 33 | ერვინ ლემენსი | 12.05.76 |
| 34 | კლეოპას გიანუ | 04.05.82 |
| 71 | ანტონის ნიკოლიდისი | 14.10.71 |
| | **მცველები** | |
| 12 | გაბრიელ შურერი | 16.08.71 |
| 14 | დიმიტრიოს მავროგენიდისი | 23.12.76 |
| 19 | ათანასიოს კოსტულასი | 24.03.76 |
| 22 | ეროლ ბულუტი | ?? |
| 25 | სპირიდონ ვალასი | 26.08.81 |
| 26 | ხრისტოს ლისგარსი | 12.02.86 |
| 30 | ანასტასიოს პანტოსი | 05.05.76 |
| 32 | გეორგიოს ანატოლაკისი | 16.03.74 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 1 | პანტელის კაფესი | 24.06.78 |
| 5 | მიხალის კაპსისი | 18.10.73 |
| 6 | იეროკლის სტოლტიდისი | 02.02.75 |
| 7 | ალბერტო კასტილიო | 13.06.84 |
| 8 | მილოშ მარიჩი | 05.03.82 |
| 10 | რივალდო | 19.04.74 |
| 11 | პრედრაგ ჯორჯევიჩი | 04.08.72 |
| 15 | იაია ტურე | 13.05.83 |
| 17 | იოანის ტარალიდისი | 17.05.81 |
| 21 | გრიგორიოს გეორგატოსი | 31.10.72 |
| 27 | ზორა ჰოვანისიანი | 16.04.87 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | იოანის ოკასი | 11.02.77 |
| 18 | დაკოლი | 18.07.86 |
| 20 | დანი გარსია | 22.12.74 |
| 23 | მიხალის კონსტანტინუ | 19.02.78 |
| 40 | არუნა ბაბანგიდა | 01.10.31 |

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

### რუსენბორგი (ნორვეგია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ესპენ იონსენი | 20.12.79 |
| 12 | როარ ჰასბი | 07.02.79 |
| 30 | ივარ რონინგენი | 13.02.75 |
| | **მცველები** | |
| 2 | მიკა კოპინენი | 05.07.78 |
| 5 | კრისტერ ბასმა | 01.08.72 |
| 8 | რობი რუსელი | 16.07.79 |
| 10 | ვიდარ რისეტი | 21.04.72 |
| 18 | ალეხანდრო ლაგო | 28.06.79 |
| 21 | სტალე სტენსასი | 07.07.71 |
| 26 | ბიორნ ტორე კვარმე | 17.06.72 |
| 33 | მიკაელ დორსინი | 06.10.81 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | ფრედრიკ ვინსენსი | 28.12.75 |
| 6 | როარ სტრანდი | 02.02.70 |
| 7 | ორიან ბერგი | 20.08.68 |
| 11 | იან გუნარ სოლი | 19.04.81 |
| 14 | სებასტიან ეგურენი | 08.01.81 |
| 19 | ალექსანდრ ტეტეი | 04.04.86 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ფროდე იონსენი | 17.03.71 |
| 13 | ალექსანდრ ობეგაარი | 13.09.80 |
| 17 | იოვინდ სტორფლორი | 18.12.79 |
| 25 | დანიელ ბრაატენი | 25.05.82 |

მწვრთნელი: პერ-იარ ჰანსენი

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი I ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ჩელსი — ანდერლეხტი
### ბეტისი — ლივერპული

# რა ფასი დაედება რაფას წარმატებას?

**დღეს** „ჩელსი“ მარცხენა მცველის, ასიერ დელ ორნოს გარეშე იწყებს. მან „სანდერლენდთან“ ფეხი იტკინა და „ანდერლეხტს“ ვერ დაუდგება.

„მას კუნთის პრობლემა აქვს და ფაქტია, რომ მოედანზე არ იქნება“ — განაცხადა ჟოზე მაურინიუმ.

ბელგიელებს არ ეყოლებათ დან მიტუ, მას დისკვალიფიკაცია მოსდევს, თავდამსხმელი მბო მპენზა კი ფორმაშია და აპირებს ზედიზედ შვიდი მოუგებელი თამაში არც მეტი, არც ნაკლები ჩემპიონთა ლიგაში გამოასწოროს.

მაურინიუ კი დელ ორნოს ტრავმის მაგალითზე ამტკიცებს, რომ დამნაშავე სანაკრებო ფეხბურთია.

„განა ადვილია ორ ყვეყანაში იმოგზაურო, იქ მნიშვნელოვან შეხვედრებში ითამაშო და უვნებელი და მომზადებული დაუბრუნდე კლუბს?“ — ბრძანებს პორტუგალიელი.

რაფაელ ბენიტესი კი „ბეტისთან შეხვედრის წინ თავს იზღვევს და ამბობს, რომ „ლივერპულს“ , როგორც ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს ყველა გაორმაგებული ძალით დაეჯახება და ამიტომ ცხოვრება გაცილებით ძნელი იქნება, ვიდრე შარშან იყო.

„მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა მაინც არ აქვს, რადგან ჩემი იდეა ყოველთვის ერთია, კონკრეტული მატჩისთვის კარგად მოვემზადო და მოვიგო. „ბეტისი“ მართლა ძლიერი გუნდია, მაგრამ მე ჩემი გუნდისა ნიაღაგ მწამს. ვიცი, რაგინდა რა შეხვედრაში შეგვიძლია მოედანზე გავიდეთ და მოვიგოთ“ — ამბობს ინგლისური გუნდის ესპანელი თავკაცი.

აღსანიშნავია, რომ „ბეტისი“ და „ლივერპული“ პირველად ხვდებიან ერთმანეთს. საერთოდ კი „ბეტისს“ ინგლისურ გუნდებთან რამდენჯერმე აქვს ძალა მოსინჯული, რომელთაგან ყველაზე სამახსოვრო 1977-78 წლების თასების თასის გათამაშების მეოთხედფინალში „ჩელსისთან“ ორი მარცხია: შინ 1:2, სტუმრად 1:3.

## H ჯგუფი

### პეტრჟალკა — ინტერი
### რეინჯერსი — პორტუ

# ვეისი სასწაულს ელის

**ჩემპიონთა ლიგის** ახალწვეული, სლოვაკეთის „პეტრჟალკა“ მილანის „ინტერს“ და ადრიანოს უმასპინძლებს. ადრიანოს ჯამაგირით სულ ცოტა, ორი „პეტრჟალკას“ ყიდვა შეიძლება. მთავარ ევროთასზე თამაშობს გუნდი, რომლის ბიუჯეტით 2 მილიონი ევროა

„მეტოქეებს პატივს ვცემთ, რადგან პატარა კლუბი ვართ, მაგრამ გვაქვს მდიდარი წარსული და დიდი გული. მჯერა, რომ ფეხბურთში ყველაფერი მოსალოდნელია. ჩემპიონთა ლიგაში თამაში საამაყოა“ — თქვა „პეტრჟალკას“ მწვრთნელმა ვლადიმირ ვეისმა. სლოვაკთა ჩემპიონის 7 ათასიანი სტადიონი უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და „პეტრჟალკა“ „ინტერს“ ბრატისლავის „სლოვანის“ 29 ათასიან სტადიონზე უმასპინძლებს.

მილანის „ინტერს“ ბოლო ექვსი სალიგო გასვლითი შეხვედრა არ წაუგია. აღსანიშნაია, რომ „შავ-ლურჯებმა“ ბოლოს სლოვაკეთში 1982-85 წლების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ითამაშეს და ბრატისლავის „სლოვენთან“ 1:2 დამარცხდნენ.

გლაზგოს „რეინჯერსი“, რომელიც შინაჩემპიონატში ფეხს ითრევს, „პორტუს“ უმასპინძლებს. გლაზგოელმა „ჩაფრებმა“ „ჰიბერნიანთან“ შინ 0:3 წააგეს, მერე კი სტუმრად „ფოლკირკს“ დაუზავდნენ. აი, ასეთ ვითარებაში ალექს მაკლიშის გუნდს „პორტუსთან“ გამარჯვება სწადია, რათა სახელი აღიდგინოს.

პორტუგალიური კლუბის მცველი ჟორჟე კოშტა დაშავდა და გლაზგოში ვერ ითამაშებს. ეს გუნდები ერთმანეთს ორჯერ თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში შეხვედრიან. „რეინჯერსმა“ შინ 2:1 მოიგო, სტუმრად კი 0:1 წააგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## G ჯგუფი

### ლივერპული (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ირჟი დუდეკი | 23.03.73 |
| 20 | სკოტ კარსონი | 03.09.85 |
| 25 | ხოსე რეინა | 31.08.82 |
| | **მცველები** | |
| 3 | სტივ ფინანი | 24.04.76 |
| 4 | სემი ჰიიპია | 07.10.73 |
| 6 | იონ არნე რიისე | 24.09.80 |
| 17 | ხოსემი | 15.11.79 |
| 21 | ჯიმი ტრაორი | 01.03.80 |
| 31 | დავიდ რავენი | 10.03.85 |
| 36 | ანტონიო ბარაგანი | 06.12.87 |
| 37 | ზაკ ვიტბრიდი | 04.03.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 7 | ჰარი კიუელი | 22.09.78 |
| 8 | სტივენ ჯერარდი | 30.05.80 |
| 14 | ხაბი ალონსო | 25.11.86 |
| 16 | დიტმარ ჰამანი | 27.08.73 |
| 22 | მოჰამედ სისოკო | 22.01.85 |
| 23 | ჯეიმი კარაგერი | 28.01.78 |
| 28 | სტეფან ვორნოკი | 12.12.81 |
| 30 | ბუდევეინ ზენდენი | 15.08.76 |
| 32 | ჯონ ველში | 10.01.81 |
| 34 | დარენ პოტერი | 21.12.84 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 5 | მილან ბაროში | 28.10.81 |
| 9 | ჯიბრილ სისე | 12.08.81 |
| 10 | ლუის გარსია | 24.06.78 |
| 15 | პიტერ კრუჩი | 30.01.81 |
| 19 | ფერნანდო მორიენტესი | 05.04.76 |
| 24 | ფლორენ სინამა-პონგოლი | 20.10.90 |
| 33 | ნილ მელორი | 04.11.82 |

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

### ჩელსი (ინგლისი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | პეტრ ჩეხი | 20.05.82 |
| 23 | კარლო კუდიჩინი | 06.09.73 |
| 40 | ლენი პიდგილი | 07.02.84 |
| | **მცველები** | |
| 2 | გლენ ჯონსონი | 23.08.84 |
| 3 | ასიერ დელ ორნო | 19.01.81 |
| 6 | რიკარდო კარვალო | 18.05.78 |
| 13 | უილიამ გალასი | 17.08.77 |
| 18 | უეინ ბრიჯი | 05.08.80 |
| 20 | პაულო ფერეირა | 18.01.79 |
| 26 | ჯონ ტერი | 07.12.80 |
| 29 | რობერტ ჰუტი | 18.08.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 4 | კლოდ მაკელელე | 04.11.73 |
| 8 | ფრენკ ლამპარდი | 20.06.78 |
| 10 | ჯო კოული | 08.11.81 |
| 11 | დემიენ დაფი | 02.03.79 |
| 14 | ჯერემი ნჯიტაპი | 20.12.78 |
| 16 | არიენ რობენი | 23.01.84 |
| 19 | ლასანა დიარა | 10.03.85 |
| 24 | შონ რაიტ-ფილიპსი | 25.10.81 |
| 30 | ტიაგო მენდეში | 02.05.81 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 12 | კარლტონ კოული | 02.02.77 |
| 15 | დიდიე დროგბა | 11.03.78 |
| 21 | ერნან კრესპო | 05.07.75 |
| 22 | ეიდურ გუდიონსენი | 15.09.78 |

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

### ანდერლეხტი (ბელგია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | დანიელ ჟიტკა | 20.06.75 |
| 13 | სილვიო პროტო | 23.05.83 |
| 25 | იან ვან სტეენბერგი | 04.07.72 |
| | **მცველები** | |
| 4 | ივეს ვანდერჰაიგე | 30.01.70 |
| 5 | როლანდ ჟუაში | 01.07.83 |
| 6 | მიკალ ჟევლაკოვი | 22.04.76 |
| 19 | ლორენ დელორგე | 21.07.79 |
| 27 | ვინსენ კამპანი | 10.04.86 |
| 30 | ჰანუ ტიენენი | 01.07.76 |
| 34 | ლამინე ტრაორე | 10.06.82 |
| 37 | ენტონი ვანდენ ბორე | 24.10.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 3 | ოლივიე დეშახტი | 16.02.81 |
| 7 | გორან ლავრე | 23.03.82 |
| 10 | ვალტერ ბასეჯო | 19.08.78 |
| 14 | ბარტ გოორი | 09.04.73 |
| 15 | ბესნიკ ჰასი | 29.12.71 |
| 17 | კრისტიან ვილჰელმსონი | 08.12.79 |
| 20 | ფაბრის ერეტი | 28.09.79 |
| 21 | პერ ზეტერბერგი | 14.10.70 |
| 28 | ანატოლი გერკი | 21.11.84 |
| 31 | მარკ დე მენი | 27.04.83 |
| 99 | მარიუს მიტუ | 10.09.76 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 8 | ნენად იესტეროვიჩი | 09.05.76 |
| 9 | მბო მპენზა | 04.12.76 |
| 11 | გრეგორი პუიოლი | 25.01.80 |
| 22 | ოლეგ იაჩტჩუკი | 26.10.77 |
| 24 | სერჰატ აკინი | 05.06.81 |
| 36 | ჯონათან ლეგირი | 13.04.87 |

მწვრთნელი: ფრანკ ვერკაუტერენი

### ბეტისი (ესპანეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | პედრო კონტრარესი | 07.01.72 |
| 13 | ანტონიო დობლასი | 05.08.80 |
| | **მცველები** | |
| 2 | ლუის ფერნანდესი | 27.09.72 |
| 3 | ალეხანდრო ლემბო | 15.02.78 |
| 4 | ხუანიტო | 23.07.76 |
| 5 | დავიდ რივასი | 02.12.78 |
| 7 | ფერნანდო ვარელა | 01.09.79 |
| 15 | ნანო | 07.07.80 |
| 16 | ოსკარ ლოპესი | 11.05.80 |
| 22 | პაოლო კასტელინი | 25.03.79 |
| 27 | მელი | 06.06.84 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | არსუ | 17.03.81 |
| 9 | ფერნანდო | 02.06.79 |
| 10 | ხოსე კანიასი | 17.05.72 |
| 14 | ხესუს კაპი | 26.03.77 |
| 17 | ხოაკინი | 21.07.81 |
| 18 | ალბერტო რივერა | 16.02.78 |
| 19 | ისრაელი | 16.03.87 |
| 20 | მარკოს ასუნსაო | 25.07.76 |
| 23 | ხუანლუ | 18.05.80 |
| 25 | მიგელ ანხელი | 16.09.78 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 6 | დანი | 16.09.81 |
| 12 | რიკარდო ოლივეირა | 05.06.80 |
| 21 | ხისკო | 05.09.80 |
| 24 | ედუ | 10.05.76 |

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

## H ჯგუფი

### ინტერი (პორტუგალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ფრანჩესკო ტოლდო | 02.12.71 |
| 12 | ჟულიო სეზარი | 03.09.79 |
| 79 | ფაბიან კარინი | 26.12.79 |
| | **მცველები** | |
| 2 | ივან კორდობა | 11.08.76 |
| 3 | ნიკოლას ბურდისო | 12.04.81 |
| 4 | ხავიერ ძანეტი | 10.08.73 |
| 11 | სინიშა მიხაილოვიჩი | 20.02.69 |
| 13 | მარსელო ზე მარია | 25.07.73 |
| 16 | ჯუზეპე ფავალი | 08.01.71 |
| 23 | მარკო მატერაცი | 19.08.73 |
| 25 | ვალტერ სამუელი | 22.03.78 |
| 33 | პიერ ვომე | 26.03.79 |
| 49 | მარკო ანდრელი | 10.06.86 |
| 77 | ფრანჩესკო კოკო | 14.06.77 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 5 | დეიან სტანკოვიჩი | 11.09.78 |
| 6 | კრისტიანო ძანეტი | 14.04.77 |
| 7 | ლუიშ ფიგუ | 04.11.72 |
| 8 | დავიდ პიზარო | 11.09.79 |
| 14 | ხუან ვერონი | 09.03.75 |
| 15 | სანტიაგო სოლარი | 07.10.76 |
| 18 | კილი გონსალესი | 04.08.74 |
| 19 | ესტებან კამბიასო | 18.08.80 |
| 21 | კარაგუნისი | 06.03.77 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ხულიო კრუზი | 10.10.74 |
| 10 | ადრიანო | 17.02.82 |
| 20 | ალვარო რეკობა | 17.03.76 |
| 30 | ობაფემი მარტინსი | 28.10.88 |
| 99 | ლამბროს ხუტოსი | 07.12.79 |

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

### პორტუ (პორტუგალია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჰილტონი | 18.05.78 |
| 31 | პაულო რებიერუ | 06.03.86 |
| 41 | უგო მარკესი | ??? |
| 99 | ვიტორ ბაია | 15.10.69 |
| | **მცველები** | |
| 2 | ჟორჟე კოშტა | 14.10.74 |
| 3 | რიკარდო კოშტა | 16.05.81 |
| 4 | პედრო ემანუელი | 11.02.75 |
| 5 | ლეანდრო სილვა | ??? |
| 6 | იბსონ ბარეტო სილვა | 07.11.83 |
| 13 | ბრუნო ალვეში | 27.11.81 |
| 14 | პეპე | 26.02.83 |
| 22 | ფატიხ სონკაია | 01.07.81 |
| 35 | მარეკ ჩეხი | 26.01.83 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 8 | ლუის ოსკარ გონსალესი | 19.01.81 |
| 12 | ბოსინგვა | 24.08.82 |
| 16 | რაულ მეირელესი | 17.03.83 |
| 18 | პაულო ასუნსაო | 25.01.80 |
| 20 | დიეგო | 28.02.85 |
| 27 | ალანი | 19.09.79 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 7 | რიკარდო კვარეშმა | 06.09.83 |
| 9 | ბენი მაკარტი | 12.11.77 |
| 10 | ელდერ პოსტიგა | 02.08.82 |
| 11 | ლისანდრო ლოპესი | 02.03.83 |
| 17 | ჟორჟინიო | 06.05.77 |
| 19 | ტომისლავ შოკოტა | 08.04.77 |
| 21 | სეზარ პეიშოტო | 12.05.80 |
| 25 | ივანილდო კასამა | 09.01.86 |
| 39 | უგო ალმეიდა | 23.05.84 |

მწვრთნელი: კო ადრიანსე

### რეინჯერსი (შოტლანდია)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | შტეფან კლოსი | 16.08.71 |
| 25 | რონალდ ვატერეუსი | 25.08.70 |
| | **მცველები** | |
| 2 | ფერნანდო რიკსენი | 20.07.76 |
| 3 | ოლივიე ბერნანდი | 14.10.79 |
| 5 | მარვინ ენდრიუსი | 22.12.75 |
| 12 | რობერტ მალკოლმი | 12.11.80 |
| 14 | სოტირიოს კირიაკოსი | 23.07.79 |
| 16 | ჟულიენ როდრიგესი | 11.06.78 |
| 18 | ჟოზე პიერ-ფანფანი | 26.07.75 |
| 20 | ალან ჰატონი | 21.11.84 |
| 24 | იან მიურეი | 20.03.81 |
| 34 | სტივენ სმიტი | 02.05.75 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ბარი ფერგიუსონი | 02.02.78 |
| 8 | ალექს რაე | 30.09.69 |
| 17 | კრის ბურკე | 02.12.83 |
| 31 | ჰამედ ნამუჩი | 14.02.84 |
| 37 | გარი მაკენზი | 15.10.85 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 4 | თომას ბუფელი | 19.02.81 |
| 9 | დადო პრსო | 05.11.74 |
| 10 | ნაჩო ნოვო | 26.06.79 |
| 15 | ფილიპო მანიერო | 11.09.72 |
| 19 | სტივენ ტომპსონი | 14.10.78 |
| 21 | ფრენსის ჯეფერსი | 25.01.81 |
| 23 | ფედერიკო ნიეტო | 26.08.23 |
| 26 | პიტერ ლოვენკრანდსი | 29.01.80 |

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

### პეტრჟალკა (სლოვაკეთი)

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ჟურაი კობეი | 07.08.81 |
| 18 | ლიუბომშ კამენარი | 17.06.87 |
| 30 | შტეფან კოლარი | 19.01.75 |
| | **მცველები** | |
| 2 | ანდრეი დებნარი | 18.06.72 |
| 4 | იან დურიცა | 10.11.81 |
| 5 | ალეშ ჰელებრანდი | 27.08.74 |
| 7 | იოზეფ კოტულა | 20.09.76 |
| 17 | ბალაშ ბორბელი | 02.11.79 |
| 24 | პეტერ ბულაკი | 17.09.78 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 3 | პავოლ სტანო | 29.10.77 |
| 11 | ანტონ სოლტისი | ??? |
| 13 | დანიელ ტშური | 08.09.76 |
| 15 | ვრატისლავ გაიდოსი | 13.01.86 |
| 16 | ლუკაშ ჰარტიგი | ??? |
| 20 | ვრანისლავ ჰოდრეკი | 05.02.81 |
| 21 | პეტერ პეტრასი | 07.05.79 |
| 25 | იან კოზაკი | 22.04.80 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 4 | ჟურაი ჰალენარი | 28.06.83 |
| 8 | ბლაჟეი ვაშკაკი | 21.11.83 |
| 9 | ფაბიო ლუის გომესი | 11.11.75 |
| 10 | მარტინ მიკულიჩი | 14.03.85 |
| 12 | ბრანისლავ ობზერა | 29.09.81 |
| 19 | მილორად ბუკვიჩი | 11.06.76 |

მწვრთნელი: ვლადიმირ ვეისი

# ტური მეორე, გოლი 99

**იყო თუ არა**, „უდინეზეს" მეკარე მორგან დე სანქტისი მიჩნეული იტალიის ბოლო წლების ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ? იყო და ამიტომაც არ არის გასაკვირი სერია A-ს მეორე ტურში თავი რომ გამოიჩინა, უფრო სწორად კი დაამტკიცა, რატომაც აქებდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში. ერთი სიტყვით, თქვენთვის იმის შეხსენება გვინდა, რომ დე სანქტისმა რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" „რომასთან" ბრწყინვალედ ითამაშა, საუცხოოდ მოიგერია მოსაგერიებლად უძნელესი დარტყმები და იტალიურმა მას-მედიამ ტურის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა.

ამბობენ, რომ დე სანქტისის ასეთი თამაში დამატებითი ფსიქოლოგიური სტიმულით გახლდათ გამოწვეული. კერძოდ, წინა კვირას, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჯანლუიჯი ბუფონის დაშავების მიუხედავად მარჩელო ლიპიმ „სკუადრა აძურაში" გამოიძახა არა იგი, არამედ ვეტერანი ანჯელო პერუცი, რამაც უდინელი ფრიად გააბრაზა.

28 წლის მორგან დე სანქტისის საუკეთესო თვისება უთუოდ თამაშის ვაჟკაცური მანერა და გაბედულებაა, თუმცა ამით სულ არ ვამბობთ იმას, რომ რეფლექსები დაეწუნება.

„სტადიო ოლიმპიკოზე" მოგერიებულ დარტყმათაგან კი ყველაზე გამორჩეული დანიელე დე როსის წყვილი გაწბილების მომენტი გახლდათ.

და რომელი გოლი შერაცხეს იტალიელმა ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო გოლად? რეპორტიორ ანტონიო ლაბატეს მტკიცებით ასეთი სამპდორიელი ემილიანო ბონაცოლის გოლი გახლავთ „რეჯინას" კარში. იტალიის 21 წლამდელთა ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა რეჯო კალაბრიელთა კარში ბურთი ისე შეაგდო, თვით ბარსელონელ ჯადოქარს რონალდინიოს მოეწონებოდა სათავისოდ.

საერთოდ, 25 წლის ბონაცოლი თავით თამაშით გახლდათ ცნობილი, მაგრამ ამჯერად ვფიქრობთ ყველას დაუმტკიცა, რომ ვიწრო პროფილის სპეციალისტად მაინც არ უნდა მიიჩნიონ. საჯარიმო მოედნის კიდესთან მდგომმა ბურთი მკერდით მოათვინიერა და მარჯვენა ფეხით შორეულ ცხრიანში ვაჟკაცურად გააფრინა.

და ბოლოს, სერია A-ს მეორე ტურმა იმითაც მიიპყრო საქმეში ჩახედულთა ყურადღება, რომ იუვენტუსელმა დავიდ ტრეზეგემ კვირას ემპოლის ორჯერ გაუტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შემდეგი გოლი „ბებერი ქალბატონის" შემადგენლობაში მეასე იქნება. ამ წუთას საფრანგეთის ნაკრების ფორვარდს საკუთრივ იტალიის პირველობაზე 75 გოლი აქვს გატანილი, დანარჩენი 24 კი ყველა სხვა შეჯიბრებაში ერთად შეუყრია.

**პაპუნა ძიძია**



ჩარლტონელები დარენ ბენტის (შუაში) მორიგ გოლს ზეიმობენ

# დათარსული კაჭკაჭები

**პრემიერლიგის** მთავარი ფავორიტი, რომ ისევ ლონდონის „ჩელსია", ამაში ალბათ უკვე ისინიც აღარ იდავებენ, ვინც სეზონის წინ სხვაგვარად ფიქრობდა ან უნდოდა, რომ სხვაგვარად ყოფილიყო.

ჟოზე მაურინიუს გუნდი ძალიან მშვიდად და დამაჯერებლად გამოიყურება. ლონდონელთა რიგებში პირველ ორ ტურში არსებული ქაოსის ნასახიც აღარ არის და „ჩელსი" შარშანდელი სეზონის მსგავსად მატჩებს ერთიმეორის მიყოლებით ზედმეტი ძალების დაზოგვის გარეშე იგებს.

სამაგიეროდ, სერიოზული პრობლემები შეექმნა მეორე ლონდონურ კლუბ „არსენალს". არსენ ვენგერმა ზაფხულში ალექსანდრ გლების გარდა, არც ერთი მაღალი კლასის მოთამაშე არ დაიმატა, ხოლო პატრიკ ვიეირა გუნდიდან გაუშვა და უკვე შედეგიც მიიღო. ტიერი ანრი ყოვლისშემძლე არ არის, რომ „მეთოფეებს" ყველა თამაში მოაგებინოს.

უკვე „მანჩესტერმაც" დაკარგა პირველი ქულები, მაგრამ მანკუნიანელთა თამაში გუნდის ქომაგებს იმის იმედს აძლევს, რომ „წითელი ეშმაკები" პირველობისთვის ბრძოლას შეძლებენ.

„ჩელსის" დარად უდანაკარგო კი მხოლოდ „ჩარლტონია". რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, იქნებ მალე ათეულშიც აღარ იყოს, ფაქტია, ლონდონელები საზრიან და ამავე დროს საკმაოდ მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობენ. თანაც რამდენიმე ძალიან გამოცდილი მოთამაშე ჰყავთ, ხოლო ახალგაზრდა ფორვარდი დარენ ბენტი მინდორს უგოლოდ არ ტოვებს და შესაძლოა, სეზონის ბოლომდე ბომბარდირთა დავაში ერთ-ერთი პირველი იყოს.

ბოლო სამ ადგილზე კი ინგლისის უძველესი კლუბები მოკალათებულან. გამოკვეთილი აუტსაიდერი „სანდერლენდია", რომელიც ცალი ფეხით უკვე ქვედა ლიგაშია. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის დაწყებიდან სულ ხუთი ტურია გასული.

„ნიუკასლს" ვერც ალბერტ ლუკეს დამატება შველის და ვერც მაიკლ ოუენის. თუმცა ეს ფორვარდები სულ რაღაც ერთი კვირაა, „სენტ ჯეიმს პარკზე" არიან. ლუკემ კი უკვე დაშავებაც მოასწრო და „კაჭკაჭების" ექიმებმა ჯერ ზუსტად არ იციან, რამდენი ხანი მოუწევს დასვენება. ხოლო გუნდის თავკაცი გრემ სუნესი, რომელსაც სკამი უკვე გვარიანად შეერყა, შეშფოთებულია — ამდენი ტრავმა ვის გაუგია, ასეთი რა ჯადო გვაქვსო.

რაც შეეხება „ევერტონს", ბრწყინვალე სეზონის მერე ლივერპულელთაგან იგივეს გამეორებას არ ელოდნენ, მაგრამ ასეთ ჩავარდნასაც ვერავინ წარმოიდგენდა. დევიდ მოიესის გუნდი ჯერჯერობით ძალიან ცუდად ბურთაობს. თავად სპეციალისტი ამას გადაღლობას აბრალებს. კერძოდ კი, ავსტრალიელი ჩემპილს ფორმა არ მოსწონს.

„იგი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა და იმედია, ფორმას მალე აღიდგენს. ამ ბოლო დროს და გადაიღალა. შესაძლოა, გარკვეული პერიოდი დავასვენო კიდეც" — თქვა მოიესმა.

**კოკი კანდელაკი**

# ანრი დაისვენებს, არსენალი ვერა



ტიერი ანრი

**„არსენალი"** მძიმე დღეშია: ჩემპიონატის დასაწყისშივე განცდილ ორ მარცხს ისიც ემატება, რომ გუნდის ლიდერი, ტიერი ანრი ერთ თვეს ვერ გამოვა მინდორზე. ამის მიზეზი საზარდულის ტრავმაა.

ანრის ამ უქმეებზე არ უთამაშია, მეთოფეებმა კი მიდლსბროში წააგეს.

თავად ფეხბურთელის განცხადებით, მან სამ კვირას მაინც უნდა დაისვენოს, ეს კი ნიშნავს, რომ ის გამოტოვებს მატჩებს „ევერტონის", „ვესტ ჰემის" და „ბირმინგემის" წინააღმდეგ. ასევე, ჩემპიონთა ლიგის პირველ ორ თამაშს, მათ შორის „აიაქსთან".

„ეს შარშანდელიდან გამოყოლილი ტრავმაა — თქვა ფეხბურთელმა — სეზონის დასაწყისში კვირაში ერთი თამაში გვქონდა და არა მიშლიდა. ახლა ორი გამოდის და დატვირთვამ თავისი გაიტანა. სხეული დასვენებას ითხოვს. არ მინდა შარშანდელივით ტრავმით ვითამაშო და მერე გადამწყვეტი მატჩები გამოვტოვო".

„არსენალის" მცველმა ეშლი კოულმა კი განაცხადა, რომ წლეულს მის კლუბს მძიმე სეზონი მოელის, რადგან მთავარი მოთამაშეები გაყიდეს. მათი შემცვლელები კი ჯერ საჭიროდ ვერ გაირჯებიან.

შაბათს „მიდლსბროსთან" წაგების შემდეგ მეთოფენი უკვე ცხრა ქულით ჩამორჩებიან „ჩელსის".

„ჩვენ საუკეთესო მოთამაშენი გავყიდეთ", თქვა კოულმა „ღირსეული კი მხოლოდ გლები შევიძინეთ. პატრიკ ვიეირას წასვლას ეხუმრებით? მთავარი კაცი იყო. მაგრამ რას იზამ, რაც ვართ, იმით უნდა გავიჭირვოთ. ჩემს მახსოვრობაში, პირველივე თვეს ორი თამაში არ წაგვიგია. წინ მძიმე ჟამია, რადგან ორი-სამი მარცხის უფლება თუღა გვაქვს".

**ირაკლი გამყრელიძე**

# ფავორიტები და ბაიერნი

**ალბათ** დაგვეთანხმებით, ბუნდესლიგა უფრო და უფრო საინტერესო ხდება და ეს ბუნებრივიცაა. ცხადია, დასკვნების გაკეთება ისევ ძალიანნაადრევია, მაგრამ გარკვეული სურათი უკვე გამოიკვეთა, შემდგომში გასაანალიზებელი მართლაც ბევრი გვექნება და ეს ყველაფერი ერთიორად საინტერესო სახეს მიიღებს. ამჯერად კი ისევ ზოგადი და მოკლე მიმოხილვით შემოვიფარგლოთ.

„ბაიერნი" ისევ ყველაზე სოლიდურია „ბაიერნი" ისევ ყველაზე ძლიერია, „ბაიერნი" ისევ პირველია... ამაში ახალი არაფერია, მაგრამ ვინძლო „ვერდერმა" კვლავ იმის გაკეთება სცადოს, რაც შარშანწინდელ სეზონში ქნა და ვინ იცის, იქნებ გამოუვიდეს კიდეც... შარშანწინ კი ბრემენელები ჩემპიონები გახდნენ.

„ვერდერის" თამაში მართლაც აღტაცებას იწვევს. „მუსიკოსები" შეტევაში ძალიან ძლიერები არიან და ეს „ლაუტერნთან" მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, თანაც გასვლაზე. სხვის მეოდანზე თამაში კი ბრემენელთათვის ყოველთვის უმთავრესი პრობლემა იყო.

მიუნხენელთა ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი და სამეულში მოხვედრისთვის მებრძოლი იქნება „ჰამბურგიც". თომას დოლმა უკვე დაამტკიცა, რომ კარგი სპეციალისტია და ბევრი შეუძლია. მისი გუნდი ფაქტობრივად, ყველა რგოლში თანაბრად ძლიერია, ხოლო რაფაელ ვან დერ ვაარტის დამატებამ ჰამბურგელთა თამაშს სილაღე შეჰმატა.

ფავორიტთა შორისაა „შალკეც". გელზენკირხენელებმა ცოტა მძიმედ კი დაიწყეს, მაგრამ მაღალი მიძინებისთვის საბრძოლველად გამოცდილებაც ხელს უწყობთ და შემადგენლობაც.

გასულ კვირას თავისი ქომაგები კარგი თამაშითა და „ვოლფსბურგის" განადგურებით გაახარა „ჰერტამაც", მაგრამ დედაქალაქელთა არასტაბილურობის ამბავი კარგად მოგეხსენებათ, ამიტომაც მათ შანსებზე საუბარსა და პროგნოზების კეთებას არანაირი აზრი არ აქვს. მიუხედავად ამისა, „ჰერტა" ტრადიციულად ერთ-ერთ ფავორიტად მოიაზრება.

ყველაზე გასაკვირი „შტუტგარტისა" და „მაინცის" თამაშია. პირველი მათგანისგან, მითუფრო ჯოვანი ტრაპატონის მოსვლის მერე, ბევრს ელოდნენ, მაგრამ... მეორე კი სულაც ცხრილის ფსკერზე დალექილა, არადა, „მაინცი" გასული სეზონის კერკეტი კაკალი იყო და ბევრი ამბობდა, წელს ცხრილის ზედა ნაწილში იქნებაო.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ „დორტმუნდს" ლარს რიკენის დუბლით „კიოლნთან" გამარჯვება ძვირად დაუჯდა. იმ მატჩში გუნდის ერთ-ერთი ფორვარდი სედრიკ ვან დერ განი დაშავდა და ექვსი თვე ველარ ითამაშებს, ხოლო „შალკესა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი ჯერალდ ასამოა მარცხენა მუხლის ტრავმის გამო ორი თვე დაისვენებს.

**გიორგი ძაძამიძე**

# არიელ ორტეგა მოიძულეს

**არიელ ორტეგა** უახლოეს ხანში ალბათ ახალ გუნდს მიაკითხავს. არგენტინულ „ნიუელს ოლდ ბოისში" „ელ ბურიტოს" ძირითად შემადგენლობაში ყოფნა საეჭვო გახდა. როგორც იქაური მედია აცხადებს, ორტეგა ბოლო ორ მატჩში ტრიბუნაზე მუხლის ტრავმის გამო ზის, თუმცა მავანთა თქმით, მან საერთო ენა ვერ გამოძებნა მწვრთნელთან ხუვენალ ოლმოსთან და ამიტომაც უწევს სათადარიგოთა სკამზე ყურყუტი.

ხუვენალ ოლმოსი ჟურნალისტებთან საუბრისას ორტეგასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს, თუმცა „ლა ნასიონმა" ერთხელ კი დააცდენინა, კაცს, რომელსაც ელემენტარული დისციპლინა არ ესმის, ჩემს გუნდში არაფერი ესაქმებაო.

თავად ორტეგამ გუშინ ბუნდოვნად განაცხადა, ჩემი „ნიუელსში" დარჩენა ჯანის მალე აღდგენაზე და გუნდის თავკაცობასთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზეა დამოკიდებულიო. წლევანდელ არგენტინის ჩემპიონატში არიელ ორტეგას ერთი გოლი აქვს გატანილი — აპერტურას მესამე ტურში კენტი ბურთი თავის ძველ კლუბს, „რივერ პლეიტს" შეუგდო.

**ლადო ხომერიკი**

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხოჯერიკი

# ვინ მისცა რივერს მოგების იღბალი...

## არგენტინა

### აპერტურა. VI ტური

**ესტუდიანტესი 2:0 კილმესი**
1:0 ორტისი (8), 2:0 კალდერონი (73)
გაძევება: პიეტრავალიო (79, კილმესი)

**ველესი 1:0 ტიროფედერალი**
1:0 კასტრომანი (61)
გაძევება: ბროგი (48, ველესი)

**ლანუსი 1:1 ინსტიტუტი**
1:0 გრაფი (64), 1:1 ჟუნინიო (83)

**როსარიო 0:4 სან ლორენსო**
0:1, 0:2 პერეირა (4, 40), 0:3, 0:4 კარდოზო (72, 76)

**ინდეპენდიენტე 4:0 რასინგი**
1:0, 2:0, 3:0 ფრუტოსი (35პ,56, 75პ), 4:0 აგიერო (81)
გაძევება: ტორესი (34, რასინგი), მენდესი (86, ინდეპენდიენტე)

**კოლონი 1:1 ნიუელსი**
0:1 სკოკო (22), 1:1 რამირესი (40)
გაძევება: ვილარი (68, ნიუელსი)

**ოლიმპო 2:1 ხიმნასია ლპ**
0:1 ვარგასი (37), 1:1, 2:1 მაჯოლო (46, 90)

**ხიმნასია ხ 1:2 ბანფილდი**
0:1 ლუხამბიო (37), 1:1 სერისუელა (57), 1:2 დატოლო (67პ)
გაძევება: ბალვორინი, რამასკო (45, 70, ხიმნასია ხ)

**ბოკა ხუნიორსი 1:0 ხუნიორსი**
1:0 პალასიო (78)

**არსენალი 1:0 რივერ პლეიტი**
1:0 სეკაგია (58)

**მცირე** ხნით გაგრძელდა არგენტინის ჩემპიონატში „არგენტინოს ხუნიორსის" ლიდერობა — აპერტურას წინა ტურში ლიდერადქცეულ გუნდს კვირას „ბოკა ხუნიორსმა" „ლა ბონბონერაზე" 1:0 მოუგო და ამით „სან ლორენსოს" პირველობას შეუწყო ხელი. კარლოს ლეების „ბანფილდი" მეორე ადგილზეა, ოღონდ ვიდრე მისი მოთამაშეების ხუხუის „ხიმნასიასთან" ჯირითზე მოგახსენებთ, „ბოკას" ყოჩაღობაზე მოვყვეთ. ალფიო ბასილეს შეგირდებმა თავიდანვე სახიფათო შედეგებით დაიწყეს და სახელგანთქმულ „ბონბონერაზე" ძირითადად დამხდური ინჩასები ხარობდნენ. „ბოკა ხუნიორსმა" აპერტურას მეხუთე ტურში „სან ლორენსოსთან" პრინციპული ჯახი 2:3 წააგო და ამიტომ პატაგონიურ გრანდს გულშემატკივართა წინაშე სასწრაფო რეაბილიტაცია სჭირდებოდა. გამარჯვების გოლი როდრიგო პალასიომ 78-ე წუთზე შეაგდო, იქამდე და იმის მერე კი, მასპინძელთა გააფთრებული მოძალების მიუხედავად, „არგენტინოს ხუნიორსის" მეკარე მარსელო პოტიროლი იდგა საიმედოდ. თუმც „ბოკას" თამაშით იქაური სპორტული მედია მაინც უკმაყოფილო დარჩა. გუნდს, რომელმაც სეზონთაშორისში ტრანსფერებისთვის 11 მილიონი დოლარი გადაიხადა, ჩემპიონატში მარტო მესამე ადგილზე ყოფნა არ ეკადრება.

მრისხანე „სან ლორენსომ" კი შინ „როსარიო სენტრალის" საგულშემატკივრო აჭყაჭყაბულ ფანებას „დასამშვიდებლად" თავზე საშინელი სარქველი დახურა, წარწერით — 0:4... ორი ბურთი გაბრიელ პერეირამ შეაგდო. არადა, ურუგვაელი პაოლო მონტერო მატჩის წინ ავად რომ არ გამხდარიყო, პერეირას ძირითად შემადგენლობას არავინ ანდორსებდა. დანარჩენი ორი პარაგვაელმა ხოსე სატურნინო კარდოზომ ჭედა — ინდიელებისქვეყნელმა კაცმა არგენტინულ ჩემპიონატში თავისი პირველი გოლები მიითვალა. გუსტავო ალფაროს „სან ლორენსის" ანგარიშზე წლევანდელ აპერტურაში 4 მოგება და ორი ფრე გახლავთ. ზემოთ პატაგონიური პრესა ახსენეთ და გეტყვით, რომ მედია ჩემპიონად სწორედ ალფაროს „წმინდანებს" (სან ლორენსო) მიიჩნევს.

ზუსტად ასევე იბეირა აველანედას „ინდეპენდიენტემ", თუმცა სტუმრად ნავახას მქნეველი „სან ლორენსოსგან" განსხვავებით, ხულიო ფალკონის არმადამ კვირას „რასინგი" თავის შინაურ არენაზე გაამწარა. მატჩის არბიტრმა იმ დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარ „რასინგს" ჯოჯოხეთი მოუწყო — სერხიო პესტკამ სტუმართა კარში ორი პენალტი დანიშნა (ორივე ნიკოლას ფრუტოსმა შეაგდო) და უხეში ბურთაობისთვის ხუან მანუელ ტორესსაც დაჰკრა კაი საწითელბარათო პანღური. მართალია, 42-ე წუთზე სერხიო მრისხანემ „ინდეპენდიენტეს" მარსელო მენდესიც გააძევა, მაგრამ ხერხემალგადატეხილი „რასინგისთვის" ეს დიდი ვერაფერი შეება იყო და გილიერმო რივაროლას ბიჭებმაც ბარაქიანად, 4:0 წააგეს. დანარჩენი გოლები ისევ ფრუტოსის და სერხიო აგეროს ანგარიშზეა.

„ბანფილდამდეც" მივაღწიეთ. კარლოს ლეების კლუბში მალე ურუგვაელი ხოსემირ ლუხამბიო მეფის ტოლი კაცი გახდება. „ინდეპენდიენტეს" ფრუტოსთან ერთად ხოზეს არგენტინის ჩემპიონატში 6 ტურში ამდენივე გოლი აქვს შეგდებული. „ბანფილდმა" ლუხამბიოს და ხესუს დატოლოს წყალობით გასვლაზე არგენტინელთა უმაღლეს ლიგაში ახლახან ამოცოცებული ხუხუის „ხიმნასია" 1:2 დააჩოქა.

„ორმაგად დასაფასებელია ჩემპიონატში „ბანფილდის" მეორე ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა ზაფხულში თავისი ლიდერები, ანდრეს სან მარტინი და დანიელ ბილოში „რივერ პლეიტში" და „ბოკა ხუნიორსში" გაასხვისა, „ბანფილდი" 2005 წლის აპერტურაში მაინც რიგიანად ბურთაობას ახერხებს" — ეწერა გუშინდელ „კლარინში".

თუკი ვინმეს თავისი ქომაგი არ უყვარს, ალბათ ისევ „რივერ პლეიტს". აგერ ახლა იყო (ორი ტურის წინ) „მილიონერებმა" ხსენებულ „ბანფილდთან" 4:1 რომ წააგეს, 11 სექტემბერს კი „ესტადიო მონუმენტალის" გრანდმა „არსენალთან" გასვლითი შეხვედრა 1:0 დათმო. რეინალდო მერლოს შეგირდებს იბრაჰიმ საკახას მე-13 წუთზე გატანილმა ბურთმა მოუღო ბოლო — „რივერმა" ბევრი ეცადა, მაგრამ კერეტ „არსენალს" 3 რა არის, 1 ქულაც ვერ გააგდებინა ხელიდან.

მთავარი ტრაგედია კი მატჩის მერე დატრიალდა. სარანდის არენაზე სტუმრად (ვაი, ამ სტუმრობას) ჩასული „მილიონერთა" ინჩასები მშობლიური გუნდის უსუსურობამ გააცოფა და გასახდელისკენ თავჩაქინდრულად მავალ რივერელებს მსუყე გინება და ბოთლების კორიანტელი დაადევნეს. „ბანფილდთან" იმ ავადსახსენებელმა მატჩმა მაშინ ძველი მწვრთნელი ლეონარდო ესტრადა და მეკარე კონსტანტინო შეიწირა (პრეილი გადადგა და სმას მიჰყო ხელი, მეორე ესპანურ „ალავესში" გაიქცა და, როგორც ამბობენ, გონს ჯერაც არ მოსულა), ახლა კი... „რივერი" ასე ბედს ვერ ეწევაო, წერენ შეფიქრიანებული არგენტინული გაზეთები.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 6 | 4 | 2 | 0 | 13:6 | 14 |
| ბანფილდი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 11 |
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 11 |
| ხუნიორსი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:3 | 11 |
| ველესი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:7 | 10 |
| რივერ პლეიტი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| კილმესი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| როსარიო | 6 | 2 | 3 | 1 | 10:9 | 9 |
| არსენალი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| ოლიმპო | 6 | 1 | 4 | 1 | 5:5 | 7 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 |
| ხიმნასია ლპ | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ოლდ ბოისი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ლანუსი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:12 | 6 |
| ხიმნასია ხ | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| კოლონი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:14 | 4 |
| ინსტიტუტო | 6 | 0 | 4 | 2 | 1:7 | 4 |
| ტირო ფედერალი | 6 | 0 | 0 | 6 | 4:12 | 0 |



„არსენალის" ქომაგებმა „რივერთან" გამარჯვების შემდეგ გვერდიანად გაიხარეს



# დიეგო მარადონა მალე ფეხბურთს დაუბრუნდება

**44 წლის** დიეგო მარადონა მალე მოედანზე გამოვა და თავის საბენეფისო მატჩს ითამაშებს. გახსოვთ ალბათ, 2001 წელს ნარკოტიკებისგან და ზედმეტი წონისგან გატანჯულმა მითიურმა კაცმა „ლა ბონბონერაზე" გამართულ გამოსათხოვარ თამაშში ხეირიანად ფეხის გაქნევა ვერ შეძლო, თუმცა ახლა ჩიტივით შემსუბუქდა. ვეტერანი მზადაა, სტადიონზე ძველებური აღმაფრენით გამოვიდეს.

„50 კილოგრამი დავიკელი. ჩემი წონა დღეს დაახლოებით იგივეა, რაც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დროს იყო, 73-74 კილოგრამი. როგორც კი თავს სავსებით ჯანმრთელად ვიგრძნობ, ვარჯიშს დავიწყებ, რათა ფეხბურთს გასართობად დავუბრუნდე" — აღნიშნა დიეგომ არგენტინულ „ლა ნასიონთან" საუბრისას.

მარადონას თქმით, მან კოკაინისადმი ლტოლვა საერთოდ დაავიწყა და ახლა თავის ორი ანგელოზის, დალმასა და ჯანინას (დიეგოს შვილები) ცხოვრების უკეთ მოწყობაზე ზრუნავს.

„მრცხვენია, რამდენიმე წლის წინანდელ ამბებს რომ ვიხსენებ. ახლაღა ვხვდები, ჩემი შვილები გიდორივით გასიებული ავადმყოფი მამის გამო როგორ იტანჯებოდნენ. ღვთის შეწევნით, დღეს სხვანაირი ცხოვრება მაქვს, აღარც თუ გვიან მოედანზე გავალ და ბურთს მეტოქეებს ძველებურად დავუმალავ" — განუცხადა მარადონამ.

# ტევესი ჩოგბურთს არ თამაშობს...


კარლოს ტევესი


ზე ელიასი

**„სანტოსის"** ნახევარმცველმა ზე ელიასმა „გაზეტა ესპორტივასთან" ინტერვიუში „კორინთიანსის" არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევესი გააკრიტიკა. მოგახსენებთ, რომ პატაგონიელმა კარლიტომ ამ რამდენიმე ხნის წინ მედიასთან შეხვედრისას დაიჩივლა — ბრაზილიაში მეტოქეები უხეშად მეთამაშებიან, სამსაჯო დონეც უკიდურესად დაბალია და თანაგუნდელებიც დროულად პასებს არ მაძლევენო.

„თუ ასე გაგრძელდა, „კორინთიანსიდან" აუცილებლად წავალ და ბურთაობას რომელიმე ევროპულ გუნდში დავიწყებ" — განაცხადა ტევესმა.

თავადაც ექსკორინთიანსელი ზე ელიასი კი არგენტინელს მოქცევას უწუნებს: „კარლიტო ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ ტრანსფერს წარმოადგენს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, მან „კორინთიანსში" ახლავე მეფედ ჩაითვალოს თავი — ამის მიღწევას, დამიჯერეთ, წლები სჭირდება. ამბობს მეტოქეები უხეშად მექცევიანო. წარმოიდგინეთ, იგი რომ ინგლისში ან გერმანიაში გადავიდეს, ცუდი სიურპრიზი არ ასცდება — იქაური მცველები ბრაზილიელებზე ასჯერ მეტად ველურები არიან... ტევესის გასაგონად ვიტყვი — თუ მოედანზე ერთმანეთს არ შევეხებით, ფეხბურთის ნაცვლად ჩოგბურთს ან სხვა ამნაირ რამეს ვითამაშებთ" — თქვა „სანტოსის" მობურთალმა.

ზე ელიასს ევროპულ ფეხბურთზე ნათქვამი დაეჯერება — თავის დროზე „ინტერის" და „ლევერკუზენის" მოთამაშე გახლდათ.



# ერთია თუ ბევრია...

**ხორვატიის** პოლიციას ჩვეულებრივ კრიმინალურ თავსატეხებთან ერთად საფეხბურთო ხულიგნობის თემაც გვარიანად აწუხებს და, თან რაც მისთვის ყველაზე უსიამოვნოა, ამ ჯურის ხულიგნობა არც მცირდება და არც ადგილზე დგას — მატულობს და ფრთებს შლის. ამიტომაც გამოაცხადეს ხორვატმა სამართალდამცველებმა ორშაბათს, რომ ამიერიდან მოწადინებას გააათმაგებენ, რათა საფეხბურთო ხულიგნობაზე მათი პასუხი უფრო სწრაფი და ადექვატური გახდეს.

„ჩვენ ხულიგანთა აღრიცხვას და მონაცემთა ბაზის შექმნას ვაპირებთ, რის შემდეგაც კლუბებს მათ სტადიონებზე არ-შეშვებას მოვთხოვთ" — განაცხადა რადიოინტერვიუში შინაგან საქმეთა მინისტრმა ივიცა კირინმა. მან დასძინა:

„ამიერიდან ჩვენ არეულობას არ დავუცდით, პირდაპირ ვეკვეთებით და საქმეზე გადავალთ. ჩვენ შეგვწევს იმის ძალა, რომ ნებისმიერი შფოთისთავი ულაპარაკოდ გავარიდოთ საფეხბურთო მატჩს"

შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების დღეს ხორვატები მალტას სტუმრობდნენ, საიდანაც მალტელმა სამართალდამცველებმა ასზე მეტი სტუმარი ქომაგი გაკოჭეს და გამოაგდეს თავიანთი ქვეყნიდან. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ მატჩი დასრულდა 1:1, რაც ხორვატებს მერვე ჯგუფიდან პირდაპირ გასვლის შანსებს ურთულებს.

მალტაში მართლაც საშინელებები მოხდა: VIP ლოჟაში ხორვატებმა სკამები აყარეს და დაამტვრიეს, ერთ-ერთ მინისტრს კი თავი ოხვზის გასაკერი გაუხდა.

შაბათს, ხორვატული „მხიარულების" ხმები უკვე ზაგრებში ისმოდა, სადაც იქაური „დინამოსა" და სპლიტის ჰაიდუკის მატჩი სამჯერ შეწყდა, რადგან მაყურებელმა პოლიციელთა ბლვერის მიუხედავად მოედანს მაშხალების და ჩირაღნების წვიმა აყარეს.

მანამდე, ერთი კვირით ადრე, იმავე „დინამოსა" და სარაევოს „ჟელეზნიჩარის" ამხანაგური შეხვედრა 75-ე წუთზე საერთოდ ჩაიშალა.

**პაპუნა ძიდია**

# სევილიის სავიოლა დაშავდა




**„სევილიას"** არგენტინელი თავდამსხმელი, ხავიერ სავიოლა დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს — ორშაბათს ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ბაჭიად წოდებულს მარცხენა მუხლზე მყესი აქვს გაჭიმული.

23 წლის არგენტინელმა, რომელიც „სევილიაში" „ბარსელონამ" გააქირავა, ფეხი კვირას, „ვილიარეალთან" შეხვედრაში იტკინა, როდესაც მოწინააღმდეგე გუნდის მეკარეს, სებასტიან ვიერას შეეჯახა.

შესაბამისად, სავიოლა გამოტოვებს უეფას თასის პირველი ეტაპის შეხვედრას „მაინცთან", პლუს პრიმერადივიზიონის სულ მცირე ოთხ შეხვედრას.

**პაპუნა ძიდია**

# ერვინის ევროპა და გაზრდა-გახარება

## სწავლა სიბერემდეო, ამბობს კუმანი



ჰოლანდიის ჩემპიონატი ერთი თვის დაწყებულია, მაგრამ ერვინ კუმანმა „ფეიენოორდისთვის" ხელის დატყობა უკვე მოასწრო. ხუმრობა ხომ არ არის — სამი თამაშიდან სამი მოგება. რუუდ გულიტის განთავისუფლებულ სკამზე მისული „ვალვაიკის" ყოფილი თავკაცი როტერდამელ ქომაგთა გულებში უკვე კარგა მომგებიან ადგილს იკავებს და იმედი აქვს, რომ ასეც გაგრძელდება.

ხოლო ფეხბურთელობის დროინდელი კუმანი თავად თუ არ გახსოვთ, მონაყოლების მიხედვით მაინც აუცილებლად გეცოდინებათ. მას ალბათ ნაკლებად, ვიდრე მის ძმას, რონალდს, მაგრამ მაინც საუცხოო, წარმატებული კარიერა ჰქონდა. 1988 წელს ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა და იმავ წელიწადს, „მეხელენის" მაისურით ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელიც შეიქნა.

ახლა ერვინ კუმანს თვალი უეფას თასისკენ უჭირავს. „ფეიენოორდის" ხუთშაბათის მეტოქე ბუქარესტის „რაპიდია", რომელიც „დე კუიპზე" ჩადის და...

ამ ინტერვიუში კუმანს მისი ევროდაბრუნების ეშხით გაესაუბრნენ.

**— როგორც ფეხბურთელი ნიადაგ ევროთასებზე გამოდიოდით. მოგენატრათ კონტინენტური სარბიელი?**

— ჩემთვის ევროპული საკლუბო ფეხბურთი ყოველთვის განსაკუთრებული რამ გახლდათ. სეზონს ის საგანგებო იერს აძლევს და მეც გაფაციცებით ვადევნებ თვალს. ევროთასებზე ხშირად ძალიან ამაღელვებელ მატჩებს ვუყურებთ და თუკი ამ შეჯიბრებათაგან რომელიმეში წარმატებას მიაღწევთ, როგორც ეს 2002 წელს „ფეიენოორდმა" გააკეთა, შესანიშნავია. დიახ, დღეს ევროპაში მთავარი შეჯიბრება ჩემპიონთა ლიგაა, მაგრამ უეფას თასზეც ბევრი ძალიან მაღალი დონის გუნდია და აქ, რაც შეიძლება შორს გასვლა უმნიშვნელოვანესი რამ გახლავთ.

ამას მხოლოდ რაც შეიძლება მეტი ფულის საშოვნელად სულაც არ ვამბობ. უეფას თასზე კარგად ასპარეზობა გუნდს მთელ კონტინენტზე სახელს უგდებს და ფეხბურთელებსაც თავის გამოჩენის საუკეთესო საშუალება ეძლევათ. მოკლედ ევროშეჯიბრება და მითუმეტეს მასში გამარჯვება უდიდესი სიამოვნებაა, რომელიც ადამიანმა შეიძლება მიიღოს.

**— უეფას თასზე გასულ სეზონში ჯგუფური ეტაპი შემოიღეს. რა აზრის ბრძანდებით მასზე?**

— თუ ჯგუფში შევალთ, ოთხი გარანტირებული მატჩი გველის, ორი შინ და ორიც სტუმრად. ეს იქნება დაძაბული კვირები, საინტერესო და გამოცდილების მომტანი. ჯგუფი სხვა ევროპულ გუნდებთან მიტოლების და ძალთა შეფარდების საშუალებას მოგვცემს. ერთი სიტყვით, მწამს ჩემი გუნდის ყოველი მოთამაშე დიდ ცოდნას შეიძენს, ხოლო მე, როგორც მწვრთნელი გავმდიდრდები გამოცდილებით.

**— რა ძირითადი განსხვავებაა მწვრთნელობასა და ფეხბურთელობას შორის?**

— ფეხბურთელი ფაქტობრივად საკუთარი ჰობით ერთობა, მხოლოდ თავი აბარია და სხვას არაფერს დაგიდევთ, ხოლო მწვრთნელი ნებისმიერ წვრილმანს ითვალისწინებს და ყველაფერი რაც გარშემო ხდება მას ეხება. კაცმა რომ თქვას, „ვალვაიკში" მწვრთნელობას რომ მივყავი ხელი, დიდად გასაოცარი და მოულოდნელობისგან პირის დასალებიც არაფერი მინახავს, ვინაიდან მანამდე, „ეინდჰოვენში" მთელი ხუთი წლის განმავლობაში ახალგაზრდულ გუნდს ვედექი სათავეში. მოკლედ, არ ვჩანდი, მაგრამ ვმუშაობდი. მეორე მხრივ, დღემდე ყოველდღიურად უამრავ რამეს ვსწავლობ. მაგალითად როდის და რა ვითარებაში ჯობია ფეხბურთელის შეცვლა და სხვა. ეს ისეთი საკითხებია, გამოცდილებასთან ერთად რომ ვითარდება და იხვეწება.

**— მოედანს გარეთ რაღა ხდება?**

— მოედანს გარეთ, „ვალვაიკს" და „ფეიენოორდს" შორის უდიდესი განსხვავებაა. როტერდამში ჩვენს ყოველ ვარჯიშს უამრავი ხალხი ესწრება. „ფეიენოორდი" მუდმივად ტელევიზორში, გაზეთსა და ინტერნეტშია. „ფეიენოორდს" მთელ ჰოლანდიაში ქომაგობენ და არა მარტო მის ქალაქში. ამ კლუბის გარშემო სულ ფუსფუსი და ტრიალია. მერედა, რაც ხდება ყოველთვის კარგი კი არ არის, ხშირად ცუდია და მეც, როგორც მწვრთნელს ამასთან შეგუება და ამასთან ერთად ცხოვრება მიწევს.



გაჰ, დრონი, დრონი...

**— „ფეიონოორდის" საკლუბო დევიზი ცნობილია: მოქმედება სიტყვებზე ხმამაღალია. ამბობენ, თითქოს თქვენ ამ სიტყვებს სრულიად ეთანხმებოდეთ. მართალია?**

— ალბათ, შემიძლია ამ დევიზს სავსებით დავეთანხმო. თავად გახლავართ ბუნებით ისეთი ადამიანი, რომელიც ხმის ამოუღებლად მუშაობს და ჩრდილში დარჩენას ცდილობს. ჩემთვის მთავარია ფეხბურთელებს გავაგებინო, რას ვითხოვ მათგან. ერთი სიტყვით, ვფიქრობ აქ, „ფეიენოორდში" ყველაფერს ძალიან კარგად შევეგუე და მართალია ფეხბურთში მოვლენები მეტისმეტად სწრაფად იცვლება, ჩემთვის შესაფერის ადგილას ვარ იცით, როდესაც „ფეიენოორდმა" მომიწვია, ჩემს ძმას, რონალდს, მამაჩემს და კიდევ რამდენიმე ახლობელ ადამიანს ვთხოვე რჩევა და მათ ერთხმად დათანხმება მირჩიეს.

**— და ბოლოს, ალბათ, ძალიან გახარებული ხართ დირკ კუიტი ისევ „ფეიენოორდში" რომ თამაშობს.**

— რასაკვირველია. ის პიროვნული თვისებებით გამორჩეული ადამიანია და ამიტომაც დავნიშნე კაპიტნად. დირკი ტექნიკურად და ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ყველა მატჩში პირველიდან ბოლო წუთამდე ბრძოლაშია და შიგადაშიგ გოლებიც გააქვს. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის და სალომონ კალუ „ფეიენოორდში" რჩებიან. და ეს განა მხოლოდ ჩვენთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მათთვისაც. ისინი ევროპულ ასპარეზზე მოსინჯავენ ძალებს.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. ჩემპიონატი

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 12 | უოტფორდი-ნორვიჩი | 2.50 | 3.10 | 2:60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 22:45 | 13 | ვულვერჰემპტონი-მილუოლი | 1.40 | 3.90 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.56 |
| 22:45 | 14 | კარდიფი-ლესტერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 15 | უენსდი-ლიდსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 22:45 | 16 | ქპრ-ლუტონი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 22:45 | 17 | პლიმუთი-ქრიუ | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 22:45 | 18 | პრესტონი-ბარნლი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 22:45 | 19 | იფსვიჩი-საუთჰემპტონი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 22:45 | 20 | ბრაიტონი-შეფილდი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 22:45 | 21 | ჰალი-სტოკი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 23:00 | 22 | რედინგი-კრ. პალასი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 23 | დერბი-ქოვენთრი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |

### ინგლისი. I ლიგა

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 36 | დონსი-სუონსი | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 577 | ჯილინგემი-ბარნსლი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

### ინგლისი. II ლიგა

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 49 | ლინკოლნი-რექსემი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 50 | როვერსი-ოქსფორდი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 22:45 | 51 | მაკლსფილდი-რაშდენი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |

### იტალია. სერია B

**14 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 153 | პიაჩენცა-კატანია | 2.35 | 2.80 | 2.90 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| 20:30 | 154 | ბრეშა-კრემონეზე | 1.60 | 3.00 | 5.50 | 1.04 | 1.23 | 1.94 |
| 20:30 | 155 | მოდენა-მანტოვა | 1.80 | 2.80 | 5.00 | 1.09 | 1.32 | 1.79 |
| 20:30 | 156 | ალბინოლეფე-რიმინი | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |

### იტალია. სერია C1/A

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 578 | ჯენოა-ფერმანა | 1.25 | 4.70 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.02 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 168 | სალერნიტანა-ტერამო | 1.85 | 2.90 | 3.80 | 1.12 | 1.24 | 1.64 |

### იტალია. სერია C1/B

**14 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 179 | კიეტი-პერუჯა | 1.85 | 2.90 | 3.80 | 1.12 | 1.24 | 1.64 |

### ნორვეგია. ტიპელიგა

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 376 | ფრედრიკსტადი-ვოლერენგა | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 21:00 | 377 | ალესუნდი-მოლდე | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |

### ნორვეგია. I დივიზიონი

**14 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 386 | სტაბეკი-ტონსბერგი | 1.30 | 5.00 | 8.00 | 1.03 | 1.11 | 3.07 |

### შვედეთი. სუპერეტა

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 406 | აიკ-იორებრო | 1.70 | 3.50 | 4.20 | 1.14 | 1.21 | 1.90 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:05 | 407 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |

### ჩემპიონთა ლიგა

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 507 | მილანი-ფენერბაჩე | 1.25 | 4.90 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.38 |
| 22:45 | 508 | ბეტისი-ლივერპული | 2.25 | 3.20 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 22:45 | 509 | ლიონი-რეალი | 2.60 | 3.10 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.39 |
| 22:45 | 510 | რეინჯერსი-პორტუ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 511 | ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| 22:45 | 512 | პსვ-შალკე | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 22:45 | 513 | პეტრჟალკა-ინტერი | 8.00 | 4.00 | 1.40 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 22:45 | 514 | ჩელსი-ანდერლეხტი | 1.20 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.88 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 515 | სპარტა-აიაქსი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 22:45 | 516 | ვერდერი-ბარსელონა | 3.30 | 3.20 | 2.10 | 1.62 | 1.28 | 1.26 |
| 22:45 | 517 | რაპიდი-ბაიერნი | 5.50 | 3.50 | 1.60 | 2.13 | 1.23 | 1.09 |
| 22:45 | 518 | არსენალი-თუნი | 1.15 | 6.20 | 13.00 | 1.00 | 1.05 | 4.19 |
| 22:45 | 519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.96 |
| 22:45 | 520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 5.00 | 3.30 | 1.70 | 1.98 | 1.26 | 1.12 |
| 22:45 | 521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 22:45 | 522 | ბენფიკა-ლილი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

### შოტლანდია

**თასი**

**13 სექტემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 564 | ჰამილტონი-დანდი | 2.35 | 3.50 | 2.40 | 1.40 | 1.18 | 1.42 |
| 22:45 | 566 | სტ.ჯონსტონი-რეითი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 567 | სტ.მირენი-სტენჰაუზმური | 1.35 | 4.50 | 6.50 | 1.03 | 1.11 | 2.65 |
| | | **14 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 565 | სტირლინგი-მორტონი | 3.20 | 3.60 | 1.85 | 1.69 | 1.17 | 1.22 |

### ფრეს ბარეში (მირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16507 | მილანი-ფენერბაჩე | 1.04 | 6.50 |
| 16508 | ბეტისი-ლივერპული | 1.50 | 2.10 |
| 16509 | ლიონი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 16510 | რეინჯერსი-პორტუ | 1.45 | 2.30 |
| 16511 | ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.12 | 3.90 |
| 16512 | პსვ-შალკე | 1.50 | 2.10 |
| 16513 | პეტრჟალკა-ინტერი | 3.60 | 1.15 |
| 16514 | ჩელსი-ანდერლეხტი | 1.02 | 6.70 |
| 16515 | სპარტა-აიაქსი | 1.60 | 1.90 |
| 16516 | ვერდერი-ბარსელონა | 2.20 | 1.45 |
| 16517 | რაპიდი-ბაიერნი | 3.30 | 1.25 |
| 16518 | არსენალი-თუნი | 1.01 | 7.00 |
| 16519 | უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.35 | 2.50 |
| 16520 | ბრიუგე-იუვენტუსი | 2.90 | 1.30 |
| 16521 | ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 16522 | ბენფიკა-ლილი | 1.35 | 2.60 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# I ტაიმის შედეგი

| | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10507 მილანი-ფენერბაჰჩე | 1.50 | 2.40 | 10.00 | 1.00 | 1.30 | 1.93 |
| 10508 ბეტისი-ლივერპული | 2.75 | 2.00 | 3.80 | 1.15 | 1.59 | 1.31 |
| 10509 ლიონი-რეალი | 3.10 | 2.00 | 3.00 | 1.21 | 1.52 | 1.20 |
| 10510 რეინჯერსი-პორტუ | 2.70 | 2.00 | 3.40 | 1.14 | 1.50 | 1.25 |
| 10511 ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.85 | 2.10 | 6.70 | 1.00 | 1.44 | 1.59 |
| 10512 პსვ-შალკე | 2.65 | 2.00 | 3.65 | 1.13 | 1.53 | 1.29 |
| 10513 პეტრჟალკა-ინტერი | 6.50 | 2.20 | 1.85 | 1.64 | 1.44 | 1.00 |
| 10514 ჩელსი-ანდერლეხტი | 1.40 | 2.90 | 10.00 | 1.00 | 1.22 | 2.24 |
| 10515 სპარტა-აიაქსი | 2.80 | 2.00 | 3.20 | 1.16 | 1.49 | 1.23 |
| 10516 ვერდერი-ბარსელონა | 3.50 | 2.00 | 2.65 | 1.27 | 1.50 | 1.13 |
| 10517 რაპიდი-ბაიერნი | 5.70 | 2.10 | 2.00 | 1.53 | 1.48 | 1.02 |
| 10518 არსენალი-თუნი | 1.35 | 2.80 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.18 |
| 10519 უდინეზე-პანათინაიკოსი | 2.30 | 2.00 | 4.60 | 1.06 | 1.53 | 1.39 |
| 10520 ბრიუგე-იუვენტუსი | 5.00 | 2.00 | 2.20 | 1.42 | 1.52 | 1.04 |
| 10521 ვილიარეალი-მანჩესტერი | 3.00 | 2.00 | 3.10 | 1.20 | 1.52 | 1.21 |
| 10522 ბენფიკა-ლილი | 2.45 | 2.00 | 3.90 | 1.10 | 1.50 | 1.32 |

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### გოლი:წყვილი-1ჯ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | |
|---|---|---|
| 7507 მილანი-ფენერბაჰჩე | 1.85 | 1.95 |
| 17508 ბეტისი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17509 ლიონი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17510 რეინჯერსი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17511 ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17512 პსვ-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17513 პეტრჟალკა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17514 ჩელსი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17515 სპარტა-აიაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17516 ვერდერი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17517 რაპიდი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17518 არსენალი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17519 უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.85 | 1.95 |
| 17520 ბრიუგე-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17521 ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17522 ბენფიკა-ლილი | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15507 მილანი-ფენერბაჰჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 ბეტისი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 ლიონი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15510 რეინჯერსი-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15511 ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15512 პსვ-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15513 პეტრჟალკა-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15514 ჩელსი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15515 სპარტა-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15516 ვერდერი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15517 რაპიდი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15518 არსენალი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15519 უდინეზე-პანათინაიკოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15520 ბრიუგე-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15521 ვილიარეალი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15522 ბენფიკა-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11507 მილანი-ფენერბაჰჩე | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 12.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11508 ბეტისი-ლივერპული | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11509 ლიონი-რეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11510 რეინჯერსი-პორტუ | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11511 ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11512 პსვ-შალკე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11513 პეტრჟალკა-ინტერი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.80 |
| 11515 სპარტა-აიაქსი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11516 ვერდერი-ბარსელონა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.20 |
| 11517 რაპიდი-ბაიერნი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11519 უდინეზე-პანათინაიკოსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11520 ბრიუგე-იუვენტუსი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11521 ვილიარეალი-მანჩესტერი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11522 ბენფიკა-ლილი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.50 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(ანგარიშ 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | |
|---|---|---|
| 14507 მილანი-ფენერბაჰჩე | 1.06 | 2.90 |
| 14508 ბეტისი-ლივერპული | 1.70 | 2.20 |
| 14509 ლიონი-რეალი | 1.90 | 1.90 |
| 14510 რეინჯერსი-პორტუ | 1.70 | 2.20 |
| 14511 ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.20 | 2.60 |
| 14512 პსვ-შალკე | 1.70 | 2.20 |
| 14513 პეტრჟალკა-ინტერი | 2.60 | 1.20 |
| 14514 ჩელსი-ანდერლეხტი | 1.03 | 2.90 |
| 14515 სპარტა-აიაქსი | 1.75 | 1.95 |
| 14516 ვერდერი-ბარსელონა | 1.85 | 1.70 |
| 14517 რაპიდი-ბაიერნი | 2.50 | 1.30 |
| 14518 არსენალი-თუნი | 1.02 | 2.90 |
| 14519 უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.55 | 2.30 |
| 14520 ბრიუგე-იუვენტუსი | 2.40 | 1.40 |
| 14521 ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.90 | 1.90 |
| 14522 ბენფიკა-ლილი | 1.65 | 2.30 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 13507 მილანი-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 13508 ბეტისი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13509 ლიონი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13510 რეინჯერსი-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 13511 ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13512 პსვ-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13513 პეტრჟალკა-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13515 სპარტა-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13516 ვერდერი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13517 რაპიდი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 13519 უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.70 | 1.90 |
| 13520 ბრიუგე-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13521 ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13522 ბენფიკა-ლილი | 1.70 | 1.90 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | კი | არა |
|---|---|---|
| 12507 მილანი-ფენერბაჰჩე | 2.00 | 1.60 |
| 12508 ბეტისი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |
| 12509 ლიონი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12510 რეინჯერსი-პორტუ | 1.60 | 2.00 |
| 12511 ოლიმპიაკოსი-რუსენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12512 პსვ-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12513 პეტრჟალკა-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 12514 ჩელსი-ანდერლეხტი | 2.00 | 1.60 |
| 12515 სპარტა-აიაქსი | 1.70 | 1.90 |
| 12516 ვერდერი-ბარსელონა | 1.90 | 1.70 |
| 12517 რაპიდი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12518 არსენალი-თუნი | 2.10 | 1.55 |
| 12519 უდინეზე-პანათინაიკოსი | 1.60 | 2.00 |
| 12520 ბრიუგე-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 12521 ვილიარეალი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12522 ბენფიკა-ლილი | 1.60 | 2.00 |

## კალათბურთი



გორდონ ჰერბერტი (მარცხნივ) და კენ შილდსი

# ჰერბერტმა საქართველო დატოვა

## ფედერაციას მწვრთნელთა საკითხი არ გადაუწყვეტია

**გორდონ** ჰერბერტი საქართველოდან კი წავიდა, მაგრამ საინტერესოა, დატოვა თუ არა მან ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები. წესით და კანონით, კანადელ სპეციალისტს პოსტის დატოვება მოუწევს, თუმც ოფიციალურად ჯერ არაფერი თქმულა და ისიც შეიძლება, ჰერბერტმა ქართველებს კვლავ უთავკაცოს.

გუშინწინ რესტორან „ოლიმპიში" საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით შეიკრიბა და ვერ ვიტყვით, ყანწების ტრიალი იყოო, მაგრამ სუფრა კი გაიშალა. ეს იყო უფრო გასაცილებელი ღონისძიება, ვიდრე ქეიფი. ან რა აქვთ ჩვენს კალათბურთელებს საქეიფო — A დივიზიონის საგზური ვერ მოიპოვეს.

„ოლიმპიში" არც ჟურნალისტი ყოფილა და არც სხვა ვინმე — მხოლოდ საქართველოს ნაკრების მოთამაშეები, მომსახურე პერსონალი და ხელმძღვანელობა. იმ ხალხმა, ვინც ბოლო თვენახევარი ერთად გაატარა იტალია-გერმანია-ფინეთში და წაგებ-მოგების სიავკარგეს ერთად იზიარებდა, პატივი მიაგო მთავარ მწვრთნელ გორდონ ჰერბერტსა და მის ავსტრალიელ თანაშემწე კენ შილდსს.

იმავ საღამოს საქართველოს ნაკრების უცხოელმა მწვრთნელებმა საქართველო დატოვეს. კალათბურთის ფედერაციაში რომ დავრეკეთ, მწვრთნელთა გაშვება-არგაშვებაზე არაფერი გვითხრეს. ისე, როგორც ვიცით, ჰერბერტს იმგვარი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, რომ ჯგუფიდან გაუსვლელობის შემთხვევაში ფედერაციის მესვეურებს მისი დათხოვნა შეეძლოთ. რა იქნება მომავალში, არავინ, უფრო სწორად, მხოლოდ ფედერაციის ხელმძღვანელობამ იცის და იმედია, საზოგადოებაც მალე შეიტყობს.

საქართველოს ნაკრები კი მომავალი წლის სექტემბრამდე იუქმებს და მერე A დივიზიონში გადასასვლელ ორწლიან მარათონში ჩაებმება.

**ირაკლი პერტაია**

## ხელბურთი

# ისლანდიაში გადაგვიარეს

**კი ბატონო**, მშვენივრად ვიცოდით, რომ ისლანდიაში ქართველებზე უკეთ იქნევენ ბურთიან ხელს, მაგრამ 36-გოლიან წაგებას მაინც ვერ წარმოვიდგენდით.

ისლანდიის მესამეადგილოსანმა, რეიკიავიკის „ვალურმა" ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე საქართველოს ვიცე-ჩემპიონი „ხ/კ თბილისი" გაგვინადგურა — 51:15, 47:13

## ველორბოლა

# რობერტ ერასი გაყვითლდა

**რუსმა** დენის მენშოვმა, რომელიც ვუელტაზე დიდხანს ლიდერობდა, მეთხუთმეტე ეტაპის მერე ყვითელი მაისურა ესპანელ რობერტ ერასს გადაულოცა. ესპანეთში მიმდინარე ველომრბოლთა ეს ეტაპი კანიას დე ონის — ვალგრანდე პახარესის 191-კილომეტრიან მონაკვეთზე ჩატარდა. მენშოვი ფინიშთან მეთვრამეტე იყო, რომელიც გამარჯვებულ რობერტ ერასს (4:53.53) 5 წუთითა და 23 წამით ჩამორჩა.

ფინიშთან მეორე და მესამე მიიჭრნენ ერასის თანამემამულეები სამუელ სანჩესი (+32) და ხავიერ პასკუალ როდრიგესი (+46). ასე რომ, საპატიო კარცხლბეკის სამივე საფეხური ესპანელებმა შეავსეს.

საერთო ჩათვლაშიც, როგორც ვთქვით, რობერტ ერასი ლიდერობს, მომდევნო ადგილებზე კი მენშოვი და ესპანელი კარლოს სასტერი არიან.



მეთხუთმეტე ეტაპი. 10 სექტემბერი

**კანიას დე ონისი — ვალგრანდე პახარესი. 191 კმ**

| | |
|---|---|
| რობერტ ერასი | 46 სთ.53 წთ.53 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. რობერტ ერასი (ესპანეთი, ლიბერტ სეგეროსი) | 61:47 40 |
| 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | 4.30 |
| 3. კარლოს სასტრი (ესპანეთი CSC) | 4.50 |

## მძლეოსნობა

# მწუხარებიანი ვერდიქტი

## დე ლიმამ სამართალი ვერ იპოვა

**სპორტული** არბიტრაჟის სასამართლომ ლოზანაში არ დააკმაყოფილა ბრაზილიელი მარათონელის ვანდერლეი დე ლიმას პროტესტი, რომელსაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ერთმა შერეკილმა მაყურებელმა ასპარეზობისას ხელი შეუშალა და იგი 15 წამით დაიჭირა, რამაც სპორტსმენს პრაქტიკულად ოქროს მედალი დააკარგვინა.

დე ლიმა ითხოვდა მისთვის გადაეცათ ოლიმპიური ოქროს ასლი.

სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას აღნიშნა, რომ თავისი ვერდიქტი დიდი მწუხარებით გამოიტანა, რადგან კარგად ესმის საქმის ვითარება, მაგრამ მას არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ ათენში დე ლიმამ მე-3 ადგილი დაიკავა, პირველი კი იყო იტალიელი ბალდინი, ხოლო მეორეზე ამერიკელი კეფლეციგი გავიდა არადა, იმ შემთხვევამდე ფინიშამდე სამიოდე კილომეტრიღა რომ რჩებოდა, სწორედ ბრაზილიელი ლიდერობდა.

# უბრალოდ ხტუნაობდა და იმარჯვებდა

## ისინბაევა და ბეკელე წლის საუკეთესო მძლეოსნები არიან



კენენისა ბეკელე და ელენა ისინბაევა

**მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ წლევანდელი სეზონის საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა. პლანეტის ასეთი გამორჩეული სპორტსმენები შარშანდელივით რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევა და ეთიოპიელი სტაიერი კენენისა ბეკელე გახდნენ.

„მიხარია, რომ „ოქროს ლიგის" ფინალი მოვიგე და ზედიზედ ორჯერ გავხდი მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანი ქალი. ძალიან მაგარი ამბავია, რომ წლეულს ხუთმეტრიანი ზღვარი გადავლახე და მსოფლიოს ჩემპიონატიც მოვიგე. ამით ბედნიერი ვარ და ვიმედოვნებ, რომ მომდევნო სეზონიც ასეთივე იქნება. მე არ მიწინასწარმეტყველებია, რომ ამ ჯილდოს კვლავ მოვიპოვებდი. უბრალოდ, ვხტუნაობდი, ვამყარებდი მსოფლიოს რეკორდებს და ვიმარჯვებდი"

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ დაასახელა „წლის საუკეთესო გამომსვლელთა" სახელები. ესენი გახდნენ ამერიკელი სპრინტერი ჯასტინ გეტლინგი და ეთიოპიელი მორბენალი ტირუნეშ დიბაბა. ორივემ ჰელსინკში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იმარჯვა. გეტლინგმა მოიგო 100 და 200 მეტრზე გარბენები, ხოლო დიბაბამ ოქროს მედლები მოიპოვა 5 000 და 10 000 მეტრზე რბენაში.

# ინტერვიუ ბორჯომის ფონზე

## ლეილა მესხი: ჩახნაშვილმა ნავსი უნდა გატეხოს



დღეიდან ოქტომბრის დასაწყისამდე საქართველოს კორტებზე სამი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება ქალთა შორის. მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემია 10 ათასი დოლარის საპრიზო ფონდიან „ბორჯომის თასსა" და 25-ათასიან „ქართუს" პირველობას უმასპინძლებს. მათ ბათუმის ტრადიციული 50-ათასიანი ტურნირი მოჰყვება. ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლეილა მესხს „ბორჯომის თასის" საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების მსვლელობისას გავესაუბრეთ.

— უკვე მეცხრე წელიწადია, რაც ტურნირების ქსელი ჩამოვაყალიბეთ და საკმაოდ კარგი ავტორიტეტის მოპოვებაც მოვასწარით. ზედიზედ სამი კვირა ერთ ქვეყანაში თამაში ნებისმიერი ქვეყნის სპორტსმენისთვის მომგებიანია, მით უმეტეს მასპინძლებისთვის.

**— „ბორჯომის თასის" საპრიზო ფონდი მომდევნო ორ ტურნირთან შედარებით დაბალია, ხომ არ ყოფილა საუბარი მის გაზრდაზე?**

— ათი ათასიანი ტურნირი ქართველებისთვის მისწრებაა. პირველი სარეიტინგო ქულების მოპოვების მეტი შანსი ეძლევათ. საკვალიფიკაციო ბადეში თამაშის შანსი თითქმის ყველა გოგონას მივეცით. საამისოდ ბადე 48-მდე გავზარდეთ. ძირითადში რვა საუკეთესო გადადის.

**— ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოს გარეშე რამდენი ქართველი იქნება?**

— მაკა ჩახნაშვილი ამ ტურნირზე პირველ ნომრადაა განთესილი. თავისი რეიტინგი ეყო სოფო შაფათავასაც. სოფო ქვაცაბაიასა და მანანა შაფაქიძეს კი „ვაილდ ქარდები" მივეცით.

**— „ბორჯომის თასის" პარალელურად სოფიაში 25-ათასიანი ტურნირი იმართება. ხომ არ ჯობდა, ჩახნაშვილს იქ ეთამაშა და მეტი სარეიტინგო ქულა შეემატებინა?**

— ამაზე მართლაც სერიოზულად ვიფიქრეთ და ბოლოს მაინც თბილისში თამაში ვარჩიეთ. ჯერ ერთი, ეს ტურნირი მაკასთვის კარგი ვარჯიში იქნება. და მეორე — მთავარი: ამ ცხრაწლიან ისტორიაში ქართული ტურნირი ქართველს არასოდეს მოუგია. გვინდა, ჩახნაშვილმა ნავსი გატეხოს და გაგვახაროს.

**— მომავალ ტურნირებში როგორ შეაფასებდით მის შანსებს?**

— წლევანდელი სეზონი მაკასთვის ძალიან კარგად მიდის. ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს. სტაბილურად კარგ შედეგებს აჩვენებს და იმედია ქომაგების მხარდაჭერით გამხნევებული თბილისაა და ბათუმშიც წარმატებით ითამაშებს. გვინდა, რეიტინგი ისე გაიუმჯობესოს, რომ მომავალი წლიდან გრანდსლემების კვალიფიკაციაში მოხვედრა შეძლოს.

**— არსად ჩანან სოფო მელიქიშვილი, თიკა ყავლაშვილი, ია ჯიქია და ნანა უროტაძე...**

— პირველი სამი ამერიკაშია და პირადი კონტრაქტების საკითხებს აგვარებს. სამწუხაროდ, ამჯერად ტურნირებზე ჩამოსვლას ვერც ერთი ვერ მოახერხებს, უროტაძეს კი მცირე ტრავმა აწუხებდა. ამჟამად ისიც უცხოეთშია, თუმც მეორე ტურნირის დაწყებამდე აუცილებლად შემოგვიერთდება.

**— ხომ არ ყოფილა საუბარი, რომ ქართულ ტურნირებზე საუკეთესო რეიტინგიანი ქართველი ჩოგბურთელი სალომე დევიძე და ნიჭიერი სპორტსმენი ანა ტატიშვილი ჩამოგეყვანათ?**

— სალომე პირადი პრობლემების გამო ვერ მოახერხებს ჩამოსვლას, ანა კი ბათუმის ტურნირს აუცილებლად ითამაშებს. მისთვის „ვაილდ ქაარდის" მიცემა კარგა ხნის წინ გადავწყვიტეთ.

**— „ბორჯომის თასს" მივუბრუნდეთ. საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველი გოგონების თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— ჯერ ძნელი სათქმელია, რომელი მათგანი შეძლებს ძირითად ბადემდე მისვლას. უმეტესობამ უკვე წააგო, მაგრამ ამის მიუხედავად, თითქმის ყველას თამაშით კმაყოფილი დავრჩი. ამ ბავშვებს ასეთი დონის ტურნირზე აქამდე არასოდეს უთამაშიათ, მაგრამ ძალიან ძლიერი ხასიათი გამოაჩინეს. არადა, ისინი ხომ 14-15 წლისანი არიან.

**— ამ სამი ტურნირის ჩამთავრების შემდეგ თუ ელით ჩვენს ჩოგბურთელებს რამე შეჯიბრი?**

— ბათუმის ტურნირის დასრულებიდან ორიოდ დღეში, უფრო ზუსტად 4-9 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას ვგეგმავთ, როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის. ფედერაციის მთავარი სპონსორის „კოკა-კოლას" დახმარებით, შიდა ტურნირში ქართულ მონაწილეებს საქართველოს ისტორიაში პირველად ფინანსური დაინტერესებაც ექნებათ. საქართველოს ჩემპიონატის საპრიზო ფონდი ხუთი ათასი დოლარი იქნება. გარდა ამისა, ამ შედეგებით დევისისა თასის ნაკრებიც დაკომპლექტდება, ჩემპიონებს კი სამომავალწლო საერთაშორისო ტურნირების „ვაილდ ქარდებით" წავახალისებთ. საქართველოს ჩემპიონატზე ყველა ქართველი ჩოგბურთელი ითამაშებს.

**— ერთ დროს თბილისის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებიც იჯდა საერთაშორისო კალენდარში, წლეულს კი აღარ ჩატარებულა...**

— სამწუხაროდ, მის ფინანსებს ვეღარ გავწვდით. ახლა ოლიმპიურ კომიტეტთან და სპორტის დეპარტამენტთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ამ ორი ტურნირის აღდგენასთან დაკავშირებით. იმედია, გაისად ვაჟებსაც გავახარებთ. ბოლოს მინდა, მომენტით ვისარგებლო და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს და ფირმას, რომლებიც ამ ტურნირების ჩატარებაში გვეხმარებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**




ბორჯომის თასი შარშან რუსმა მარია კონდრატიევამ მოიგო

# პირველი საშემოდგომო

**დღეს** ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე „ბორჯომის თასის" პირველი წრის შეხვედრები დაიწყება. 20-მდე ქვეყნის 100-მდე სპორტსმენი, რომელთა საშუალო ასაკიც 20 წელზე დაბლაა, უმაღლეს საჩოგბურთო მწვერვალზე ამავალი გზის პირველი საფეხურის დაძლევას შეეცდება. შიგადაშიგ მათ შორის ისეთებიც გამოერევიან, სარეიტინგო ქულები აქამდეც რომ უგროვებიათ და 10 000-დოლარიან ტურნირზე წარმატებით რეინტინგსიაში მხოლოდ რამდენიმე ადგილს მოიგებენ.

ძირითად ბადეში ხუთი ჩვენებურია. მაკა ჩახნაშვილი, რომელსაც მიზნად წლის ბოლომდე 200-ეულში შესვლა დაუსახავს მიზნად, „ბორჯომის თასზე" პირველ ნომრადაა განთესილი. იგი ამჟამად 318-ე ჩოგანია. 16 წლის სოფო შაფათავა რეიტინსიაში ზუსტად მეათასეა, თუმც ძირითად ბადეში მოსახვედრად ესეც ეყო. ასევე 16 წლის მანანა შაფაქიძესა და 17 წლის სოფო ქვაცაბიას ორგანიზატორებმა „ვაილდ ქაარდები" — ველური ბარათები მისცეს, ხოლო 15 წლის თეონა ცერცვაძემ საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა.

საკვალიფიკაციო ბადის შეხვედრები სამ დღეს გაგრძელდა. 48 მონაწილეს შორის 14 ქართველი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, 8 უძლიერესში მოხვედრა მხოლოდ ცერცვაძემ მოახერხა.

დღეს კორტზე ორი ჩვენებური გავა. შაფათავა კვალიფიკაციის გადამლახავ უკრაინელ ვიქტორია სემიროდენკოს დაუპირისპირდება, ხოლო ქვაცაბაია — ტურნირის მერვე ნომერ ბელგიელ დავინია ლობინგერს.

ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ტურნირზე დასწრება უფასოა. მიბრძანდით მარჯანიშვილის 29-ში, უქომაგეთ ქართველებს და დალიეთ „ბორჯომი".

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ბორჯომის თასი. თიხნარი საპრიზო 10 000 $

1/16 — 1/8 — 1/4 — 1/2

მაკა ჩახნაშვილი (1, საქართველო)
სვეტლანა სმირნოვა (რუსეთი)
ვიქტორია სემიროდენკო (კვ. უკრაინა)
სოფო შაფათავა (საქართველო)
ტატიანა კაპშაი (კვ. ბელარუსი)
ვარვარა გალანინა (რუსეთი)
ნადეჟდა სამოილო (რუსეთი)
ვერონიკა კაპშაი (6, უკრაინა)
ირინა კოტკინა (3, რუსეთი)
ლაურა ბსოული (კვ. გერმანია)
ლუდმილა ნიქოიანი (სომხეთი)
ვივიან სეგნინი (ბრაზილია)
ანა ლაპუშენკოვა (რუსეთი)
დარია ნაკიდაილო (კვ. უკრაინა)
ევგენია როდინა (რუსეთი)
ოლგა პანოვა (7, რუსეთი)
დავინია ლობინგერი (8, ბელგია)
სოფო ქვაცაბაია (საქართველო)
პაოლა შპროვიერი (გერმანია)
ანა მოვსესიანი (კვ. სომხეთი)
ქსენია პალკინა (ყირგიზეთი)
ვასილისა დავიდოვა (რუსეთი)
ირინა მალაშოკი (უკრაინა)
პემრა ოზგენი (4, თურქეთი)
ნატალია ბოგდანოვა (5, უკრაინა)
კრისტინა გრიგორიანი (რუსეთი)
მანანა შაფაქიძე (საქართველო)
რია დიორნემანი (კვ. გერმანია)
თეონა ცერცვაძე (კვ. საქართველო)
შერილ გერშონი (კვ. აშშ)
ელინა ჰასანოვა (აზერბაიჯანი)
ოქსანა ტეპლიაკოვა (2, უკრაინა)

24 **წლის** ფედერერისთვის დიდი მუზარადის ტურნირებზე ეს უკვე მეექვსე გამარჯვებაა. ამ მუზარადების რაოდენობით იგი გაუტოლდა სტეფან ედბერგსა და ბორის ბეკერს, ხოლო თითო მუზარადით მეტი აქვთ ჯონ მაკინროისა და მატს ვილანდერს.

დიდი მუზარადების რაოდენობით რეკორდსმენი გახლავთ პიტ სამპრასი, რომელმაც 14 ამგვარ ჯილდოს მოუყარა თავი, მაგრამ ფედერერი საკმაოდ ახალგაზრდაა და მისი რეკორდის დამხობის შანსიც გააჩნია.

რაც შეეხება ანდრე აგასის, იგი ამერიკის ღია ჩემპიონატის ყველაზე უხუცესი ფინალისტი გახდა. თუმცა სპეციალისტები მის მარცხს ფედერერთან ასაკში სხვაობით კი არ ხსნიან, არამედ იმით, რომ შვეიცარიელი, უბრალოდ, უკეთ თამაშობს.

ფედერერს მრავალფეროვანი ჩაწოდება აქვს. იგი ერთნაირად კარგად თამაშობს უკანა ხაზზეც და ბადესთანაც.

ვარაუდობენ, რომ წლის დასრულებამდე აგასი ალბათ „დამსახურებულ პენსიაზე" წასვლის თაობაზე განაცხადებს. ფედერერთან მატჩის შემდეგ მან შეგვახსენა ამ სახეობისთვის სოლიდური ასაკი და ისიც, რომ მრავალ დიდ ჩოგბურთელთან უბრძოლია.

რამდენიმე თვის წინათ აგასიმ წელის სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც საფრანგეთის ღია ჩემპიონატის პირველსავე ტურში დამარცხდა და მერე უიმბლდონის ტურნირიც გამოტოვა.

როჯერ ფედერერმა ღირსეულად დააფასა თავისი მეტოქის გამოსვლა.

„ეს ჩემს კარიერაში დიდი მუზარადის უნიკალური ფინალი იყო. ნიუ იორკში ანდრე აგასის წინააღმდეგ თამაში ეს ოცნებაა" — თქვა ფედერერმა.

მატჩის დამთავრების შემდეგ მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ისიც სიამოვნებით იძლეოდა ინტერვიუს.

US OPEN 2005

# როჯერ ფედერერი თავის თავზე და თავის კერპებზე

*ამერიკის ღია ჩემპიონატში შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა ჩემპიონის ტიტული და მსოფლიოს პირველი ჩოგნის სახელი დაიცვა. მისი მეტოქე იყო 35 წლის ამერიკელი ანდრე აგასი, რომელსაც ფედერერმა ოთხ სეტში სძლია — 6:3 2:6 7:6 (6:1)*


ანდრე აგასი და როჯერ ფედერერი

**— თქვენ თქვით, რომ ეს ფინალი ჩემთვის ყველაზე სასიხარულო იყოო. ხომ ვერ გვეტყვით, რითი სჯობდა იგი სხვა ფინალურ პაექრობებს?**

— უპირველეს ყოვლისა, ეს ფინალი ჩემთვის დასამახსოვრებელია ჩემივე მეტოქის გამო. ანდრე აგასი ხომ მართლაც ლეგენდარულია. იგი კვლავ ენერგითაა აღსავსე და კორტზეც დიდი ენთუზიაზმით გამოდის. ქალებსაც, მაგალითად, ჰყავთ თავიანთი ცოცხალი ლეგენდა — მარტინა ნავრატილოვა.

ასეთ ვარსკვლავებთან თამაშისას შენ იცი, რომ მათი კარიერა დასასრულს უახლოვდება, ხოლო საკუთარი, პირიქით — პიკის კენწეროზეა. მაგრამ შენ გაქვს ლეგენდების დამარცხების შანსი. სწორედ ამიტომაც მატჩამდე ერთი დღით ადრე ინტერვიუს არ ვიძლეოდი. ვიცოდი, რომ ეს ფინალი ჩემთვის რაღაც განსაკუთრებული იქნებოდა.

**— მაგ ლეგენდამ, ვისზეც თქვენ საუბრობთ, ფინალის შემდეგ თქვა და მერე პრესკონფერენციაზეც ორჯერ გაიმეორა, რომ თქვენ უძლიერესი ჩოგბურთელი ხართ, ვის წინააღმდეგაც კი მას უთამაშია. რას გრძნობთ, როცა ამგვარ კომპლიმენტს ისმენთ?**

— რა უნდა ვიგრძნო? მხოლოდ სიხარულს ვგრძნობ. ანდრემ ჩემი მისამართით იმდენი კომპლიმენი დაარიგა, რომ ისინი წლის ბოლომდე მეყოფა. რამდენიმე წლის წინათ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი. მით უმეტეს, რომ ჩემი კარიერის დასაწყისში, როცა აგასის ვხვდებოდი, იგი მაიძულებდა, რომ თავი სკოლის მოსწავლესავით მეგრძნო. ახლა ვითარება სრულიად საპირისპიროა და ეს ჩემთვის უდიდესი წარმატებაა. ეს უბრალოდ ძალიან მაგარი რამაა. მე ვუყურებ მას და მესმის, თუ რა წარმატებები მელის.

**— როცა ლეგენდებზე ვსაუბრობთ, შეიძლება გავიხსენოთ 2003 წელი, როცა უიმბლდონზე პიტ სამპრასს მოუგეთ. შეიძლება ამ მატჩების შედარება?**

— სამპრასთან შეხვედრისას ძალიან ვნერვიულობდი. ის შეხვედრა ხომ ჩემი პირველი ბრძოლა იყო სამპრასთან და ასევე პირველი იყო უიმბლდონის ცენტრალურ კორტზეც. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი რამ კაცს არ გავიწყდება. მაგრამ ფინალი ისევე, როგორც მატჩი, მაგალითად, უიმბლდონის ან ამერიკის ღია პირველობის მეოთხე წრეში, სულ სხვადასხვა საქმეა. ამიტომაც სამპრასთან მაშინდელი შეხვედრისა და აგასისთან ამჟამინდელი ბრძოლის შედარება არ შეიძლება. მაგრამ პიტს მე მუდამ ანდრეზე მაღლა ვაყენებდი. ამავე დროს ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შემიძლია ჩემი თავი აგასის შევადარო. ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო დღეს მასთან თამაში. არანაკლებ სასიამოვნო იყო ისიც, რომ მისი ძლევა შევძელი.

**— თქვენს ანგარიშზე ახლა ექვსი დიდი მუზარადია. ამგვარად, თქვენ გაიმეორეთ შტეფან ედბერგისა და ბორის ბეკერის მიღწევა. ისინი თქვენი კერპები არიან?**

— დიახ, რა თქმა უნდა, ისინი ჩემი კერპები არიან.

**— და რას გრძნობთ თქვენ ამასთან დაკავშირებით?**

— ეს უბრალოდ ფანტასტიკურია. განა მაგარი არაა, როცა თქვენი კერპის წინააღმდეგ კორტზე გამოდიხარ? ეს ნებისმიერი ბავშვის ოცნებაა, რომელიც ჩოგბურთს მისდევს. მე ავისრულე ეს ოცნება და მერე როგორ?! ვფიქრობ, რომ დღევანდელი დღე ჩემს კარიერაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს, მაგრამ, ვიმედოვნებ, რომ უახლოეს მომავალში სხვა წარმატებებსაც მივაღწევ. ეს კიდევ უკეთესი იქნება (იღიმება).

**— თქვენ აღიარეთ, რომ ანდრე აგასი ჩემი კერპიაო. ამასთან დაკავშირებით მატჩისას ხომ არ გაგიჩნდათ სურვილი, რომ მასთან ერთი-ორი ბურთი წაგეგოთ, რათა „მოხუცს" დახმარებოდით?**

— არა, არც ერთხელ არ გამჩენია (ღიმილით). როცა სამპრასის წინააღმდეგ ვთამაშობდი, ბადესთან მივდიოდი და ვერც კი ვიჯერებდი, რომ ეს სწორედ ის იყო. ასეთივე გრძნობა მქონდა 1999 წელს ბაზელში. მაშინ ვერ ვიჯერებდი, რომ აგასის წინააღმდეგ უნდა მეთამაშა. რა თქმა უნდა, კარგად ვაცნობიერებდი იმ ამბავს, რომ იგი ჩოგბურთს დიდი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, აგასი მაინც სუპერვარსკვლავი იყო. ამგვარი გამოცდები დღემდე დაუვიწყარია. ამ შეხვედრებში მე თანდათან გამოცდილება დამიგროვდა და შიშის გრძნობაც გამიქრა. რა თქმა უნდა, მეტოქეების წინაშე პატივისცემა რჩება, მაგრამ მათ წინააღმდეგ თამაში ისევე აღმიქმება, როგორც ნებისმიერ სხვასთან შეხვედრა. ამასთან დღეს ჩვენ არათანაბარ პირობებში ვიყავით. ყველა მაყურებელი (ფინალურ მატჩს 24 000 გულშემატკივარი დაესწრო. რედ.) აგასის მხარეს იყო. ეს ფინალი იყო, მაგრამ მე არავითარი შიშის გრძნობა არ მქონია და მეტოქის დახმარების სურვილი სულაც არ გამჩენია.

# ტრიუმფატორი ჩოგბურთელის საფეხბურთო პერსპექტივა

**ვაშთა** ფინალურ შეხვედრამდე ყურადღების ცენტრში ქალთა ტრიუმფატორი კიმ კლაისტერსი იყო. მისი გამარჯვების შემდეგ ამ ბელგიელმა სპორტსმენმა თასით ხელში ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მიაშურა.


კიმ კლაისტერსი

**— რაში დახარჯავთ 2,2 მილიონ დოლარს, რომელიც ამ ჩემპიონატის მოგებისთვის მიიღეთ?**

— ჯერჯერობით არ ვიცი. ამაზე რაიმე იდეა ჯერ არ მაქვს. ამაზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ.

**— რას გრძნობთ ახლა, როცა „დიდი მუზარადის" ტურნირზე პირველი წარმატება იზეიმეთ?**

— როცა მე ჩემი კარიერის პირველი ტურნირების მოგება დავიწყე, ფანტასტიკური გრძნობა მქონდა, რასაც ის უფრო აძლიერებდა, რომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ დღევანდელი წარმატება ჩემთვის განსაკუთრებულია. გარდა იმისა, რომ „დიდი მუზარადის" ტურნირი მოვიგე, ეს წარმატება ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოვიპოვე, რაც წელის მძიმე ტრავმით იყო განპირობებული.

**— შარშანდელი წელიწადი ძალიან ძნელი აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, თქვენ უნდა გამოგეცადათ ყველა ის უსიამოვნებანი, რომლებიც შარშან გქონდათ, რათა წლეულს წარმატებისთვის მიგეღწიათ?**

— დიახ, ალბათ ასეა. ვინ იცის, რომ არა შარშანდელი წელიწადი, ჩემი ახალი ნადავლით ახლა ალბათ თქვენს წინ არ ვიჯდებოდი.

**— ფინალური მატჩის რომელ ეტაპზე იგრძენით, რომ გაიმარჯვებდით?**

— მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო გათამაშება დასრულდა. დღეს მე მართლაც კარგად ვთამაშობდი. ასე კარგად „დიდი მუზარადის" არცერთ ტურნირზე არ მითამაშია. არანაკლები როლი ითამაშა იმანაც, რომ ვინუს უილიამსთან და მარია შარაპოვასთან მძიმე მატჩების შემდეგ ძალების აღდგენა სრულად შევძელი.

**— ამ ზაფხულს თქვენ დაამარცხეთ ჟუსტინ ენენ არდენი, ახლა ნიუ იორკში კი მთავარი პრიზისკენ მიმავალ გზაზე სძლიეთ ვინუს უილიამსსა და მარია შარაპოვას. რას ნიშნავს თქვენთვის და სხვებისთვის ეს გამარჯვება?**

— რას ნიშნავს ჩემთვის ეს გამარჯვება? არ ვიცი! ალბათ მხოლოდ იმას, რომ დღეს მსოფლის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ქალი ვარ. დღემდე არ შემიძლია დავივიწყო ის კვირეები, როცა ტრავმის გამო ჩოგბურთისგან იძულებით ვისვენებდი. მე დიდი ხნით მომიწია მოთმინებამ. ეს მე შევძელი, ამის შედეგად კი წარმატებით დავბრუნდი. ამაში ძალიან დამეხმარა ჩემი ოჯახი და მეგობართა წრე.

**— და რა დაგემართათ თქვენ იმ დროს, როცა ახლა კორტისკენ მიმავალ კიბეზე ამოდიოდით? მაყურებლები რომ არა, რომლებმაც ხელი შეგაშველეს, ეტყობა, თქვენ წაიქცეოდით.**

— არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. უბრალოდ, ამ ხალხმა, ყველამ ერთად, დიდი დახმარება გამიწია, იმ მომენტში კი ვიფიქრე, რომ კარგ ხელებში მოვხვდი-მეთქი (იცინის).

**— ვინ იყო პირველი, ვინც თქვენ ეს გამარჯვება ტელეფონით მოგილოცათ?**

— არ შემიძლია გითხრათ. უბრალოდ, არ ვიცი. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ჩემთან ბევრს უნდოდა დალაპარაკება. როგორც მამაჩემმა მითხრა, ტელეფონზე ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე 75 შეტყობინება მოვიდა.

**— ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენ ახლა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე ხართ?**

— არ ვიცი. შესაძლოა ამ ტურნირზე მე მართლაც საუკეთესო ვიყავი.

**— თქვენ თავის დროზე განაცხადეთ, რომ ორი წლის მერე დიდ სპორტს მივატოვებო. ხომ არ გადაიფიქრეთ?**

— არ ვიცი. ორი წელიწადი ეს დიდი დროა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს. ვინ იცის რაღაც მოხდეს და ორი წლის მერე კი არა, ორი თვის მერეც წავიდე ჩოგბურთიდან.

**— ამბობენ, თქვენ ცუდად არც ფეხბურთს თამაშობთ? ჩოგბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ ხომ არ ფიქრობთ ფეხბურთში თავის გამოცდას?**

— მართლაც ძალიან მიყვარს ფეხბურთი. მიყვარს თამაშიც და ყურებაც. ბელგიაში ქალთა ფეხბურთი არც ისე პოპულარულია, მაგრამ ეს დიდებული თამაშია და ამ იდეაზე დავფიქრდები (იცინის).



AFP რომიდან

# ბიკილას ხსოვნისთ

რომში, კოლიზეუმთან ძველრომაულად ჩაცმული ხალხი მიმოდის. სწორედ აქ ჩატარდა დიდი ეთიოპიელი მორბენალის, აბებე ბიკილას ხსოვნისადმი მიძღვნილი გარბენი. ბიკილამ 1960 წელს, სწორედ რომში მოიგო ოლიმპიური მარათონი, თანაც ის, ფეხშიშველი დარბოდა.



AFP ნიუ იორკიდან

# განთქმული აგასელები

კვლავ ფლამინგ მიდოუსი და კვლავ ნაცნობი სახეები, დასტინ ჰოფმანი და რობინ უილიამსი ოვაციით ხვდებიან ანდრე აგასის, რომელიც როჯერ ფედერერს ხვდება ფინალში.

# გადაეშვა

ასე ხდება ბეისბოლში: ხელგაწვდილი მოთამაშე ბურთს რომ გამოეკიდება, გზას ვერ ხედავს და შეასკდება ხოლმე, ან დამცავ კედელს, ანაც მაყურებელთა რიგებში გადაეშვება. ნიუიორკელ „იანკის“ ალექს როდრიგესსაც ასე მოუვიდა „ბოსტონთან“ თამაშისას.



AFP ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ისახარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი ლარცხელია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმშრიაკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ვირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა პეხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 27
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge